"ა(ა)იპ- " საქართველოს

საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

განათლების მიმართულება

**ხატია ზოსიძე**

# მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

**სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

ხელმძღვანელი სამონაზვნე დედა ბარბარე (ც. მეგრელიძე)

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ხიჭაური 2019

# შინაარსი


- შესავალი..........................................................................................................5

- თავი პირველი - სასწავლო პროცესის დაგეგმვის ზოგიერთი ასპექტი

§ 1 გაკვეთილის ტიპები...................................................................................10

§ 2 ჯგუფური, წყვილებში და დიფერენტული მუშაობა....................................21

§ 3 სახელმძღვანელო მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი........................................................................................................ 33

§ 4 გაკვეთილის სასწავლო მიზნის განსაზღვრის პრობლემა ............................46

§ 5 სასწავლო აქტივობების დაგეგმვა გაკვეთილზე............................................ 60

- თავი მეორე - გაკვეთილის დაგეგმვის გამოცდილება

§ 6 წარმატებული გამოცდილების ნიმუშები.......................................................... 69

§ 7 დასკვნდბი ............................................................................................................ 84

§ 8 ლიტერატურის დასახელება ........................................................................

# ანოტაცია


ხატია ზოსიძის სამაგისტრო ნაშრომში „მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ეფექტური დაგეგმვის ზოგიერთი საკითხი“ განხილულია თანამედროვე სასკოლო საქმიანობის აქტუალური პრობლემა, იგი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულო აქტივობაა,

კვლევის მეცნიერული სიახლეა ის, რომ მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მოკლევადიანი დაგეგმვის მეთოდიკა შეივსო ახალი ეფექტური მიდგომებით, განსაზღვრულია გაკვეთილის ტიპის არჩევის, სასწავლო მიზნისა და აქტივობების ეფექტურობის გზა და საშუალება .

ნაშრომი გაანალიზებულია გაკვეთილის დაგეგმვის შესახებ, პედაგოგიურ მეცნიერებაში არსებული შეხედულება, კლასიფიკაცია , თანამედროვე მოთხოვნები , გაკვეთილის დაგეგმვის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისობა. შესწავლილია წარმატებული პედაგოგიური გამოცდილება და გაკვეთილები, ჩამოყალიბებულია დასკვნები.

ნაშრომში მასალები წარმოდგენილია : ნიმუშების, რეკომენდაციების სახით, რაც ამაღლებს მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. კვლევის მიზნის შესაბამისად შერჩეული მეთოდები, პრობლემის შესაბამისია . ჩატარებული კვლევების, ანალიზი განაპირობებს მიღწეული შედეგების ნაშრომის გამოყენების სფეროს , განათლების მიმართულების სტუდენტები, მოქმედი მასწავლებლები, მშობლები.

## Annotation

Annotation Master's thesis of Khatia Zosidze named "student and efficient out come oriented aspects for flanning effective teaching process ", illustrates current methods and techniques of modern school institution ( it describes mandatory activities for acquiring thecher status as well).

Scientific discovery of research Is the fact that student and out come oriented shortterm methods of planning teaching process was reflaced with new effective ways for learning goals and activities.

Research is analyzed according to planning a lesson, pedagogy existing visin, classification modern demands and new lesson planning according to the national teaching system.

Succeccful pedagogical experience and lesson are examined, analyzed and conclusion are made . Thesis introduces materials lik drofts and recomendatin making it possible for their future implementation ip practice post research issues are in are in accordance with and due to achieved results

# შესავალი

**კვლევის აქტუალობა :** სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხი აქტუალური პრობლემა იყო ყოველთვის,როგორც პედაგოგიურ მეცნიერებებში, ასევე სასწავლო აქტივობაში . იცვლებოდა სასწავლო გეგმები, რაც შესაბამისად იწვევდა სასწავლო პროცესის დაგეგმვისადმი მოთხოვნების ცვლილებას.

ამჟამინდელი ვითარებით მასწავლებლის განათლების კომპეტენციის მნიშვნელოვანი სფეროა მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. იგი მოიცავს ისეთ მახასიათებლებს როგორიცაა: ზოგადი განათლების , ეროვნული მიზნების მოთხოვნები ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროების გაცნობიერება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმის შემუშავება სასწავლო პროცესში, ინფრასტრუქტურულ- საკონუმიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრვად გამოყენება. პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიების ეფექტიანი გამოყენება, მოსწავლეთა საბაზისო აკადემიური და სოციალურ ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა , სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევასა და პროგრესის შესაბამისი შრფასების რუბრიკების შედგენა. მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება. სასწავლო გარემოს შექმნა და სხვა.

ჩამონათვალი სრული არ არის, მაგრამ ცხადი ხდება მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის მოცულობა და სირთულე.

სასწავლო პროცესის  დაგეგმვასთან მიმართებაში არის საინტერესო სისტემა როგორც ბეჭდურ ასევე   ელექტრონულ წყაროებში, პედაგოგიურ მეცნიერებაში ჩატარებულია გამოკვლევები, ჩამოყალიბებულია მეცნიერული კლასიფიკაცია, გამოიცა კრებული, რომელშიც მოცემულია გაკვეთილის დაგეგმვის  ნიმუშები.  ამ მიმართებით მრავალფეროვანია  გამოცემები, რაც აიხსნება იმით, რომ გაკვეთილის ჩატარება აუცილებელ აქტივობას მოითხოვს , უფროსის წამყვანის, მეცნიერის სტატუსის მოსაპოვებლად. პრაქტიკოსმა მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს ორი გაკვეთილი, თითოეული შეფასდება ორი ქულით, წამყვანი სტატუსისათვის ჩასატარებელია ოთხი სამოდელო გაკეთილი თითოეულ შეფასდება ერთი ქულით.

ამ  მოთხოვნასთან დაკავშირებით  გამოცემულია კრებულები  მასწავლებელთა დასახმარებლად. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „ინოვაციური  გაკვეთილები დაწყებით კლასებში“ ( 2018),  „სამოდელო გაკვეთილები“ (2018), ინტერაქტიული მეთოდების კრებული“ (2018).ახალი განათლების ყოველ ნომერში იბეჭდება გაკვეთილების ნიმუშები.

გამოქვეყნებულია რჩევები და რეკომენდაციები გაკვეთილის ჩატარების შესახებ. მაგალითად, რჩევები გარე  შეფასებისათვის ჩასატარებელი გაკვეთილების შესახებ. განვმარტავთ, რომ გარე შეფასებას ექვემდებარება უფროსი მასწავლებლის მიერ , წამყვანი მასწავლებლის სტატუსების მოსაპოვებელი  ჩატარებული გაკვეთილები. რჩევები სიახლეებით: გაკვეთილის თემა, მიზანი და მოსალოდნელი შედეგი უნდა იყოს რეალური და გაზომვადი, რის განხორციელებასა და შეფასებას შეძლებს  ერთ საგაკვეთილო დროში. შედეგებსა და მიზანს შორის უნდა იყოს ლოგიკური კავშირი. ახალი მასალის განმტკიცებისათვის გამოიყენეთ კარგად ნაცნობი, მოსწავლეებისათვის გასაგები აქტივობები და მეთოდები.

მიუხედავად აღნიშნულისა  სასწავლო პროცესის დაგეგმვა  კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება, როგორც სასკოლო პრაქტიკის პერიოდში   დაკვირვებისა და მასწავლებელთან  გასაუბრებით დადგინდა,  ისინი იცნობენ ახალ გამოცემებს ,

რეკომენდაციებს, იზიარებენ ნაშრომებს, გამოცდილებას. მაგრამ ურჩევნიათ თვითონ მოიძიონ და იპოვონ განსხვავებული მიდგომები. საამისოდ კი სჭირდებათ სიღრმისეულად გაიცნონ და შეისწავლონ სასწავლო პროცესთან, დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები, რაც საშუალებას მისცემს იპოვონ და გამოიყენონ ორიგინალური დაგეგმვის გზები და საშუალებები, რადგან ყველა კლასი განსხვავდება შემადგენლობისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით და შეიძლება ის რაც სხვასთან წარმატებულია , მასთან უშედეგო აღმოჩნდეს .

აღნიშნულმა განაპირობა ჩემი დაინტერესება სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებით, მრავლისმომცველი პრობლემებიდან კვლევითი ნაშრომის ფორმატების გათვალისწინებით შევარჩიეთ ზოგიერთი და ჩამოვაყალიბეთ კვლევის მიზნი.

- **კვლევის მიზანი:**

მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ეფექტური დაგეგმვის გზებისა და საშუალებების გაანალიზება.

- **კვლევის ამოცანები:**

✓ მოკლევადიანი სასწავლო გეგმის გაკვეთილის ტიპის არჩევა.

✓ გაკვეთილის ორგანიზაციისათვის ჯგუფური, წყვილებსა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომების, გმოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.

✓ სასწავლო სახელმძღვანელოს როლი და მნიშვნელობის ჩამოყალიბება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

✓ სასწავლო მიზნებისა და შეფასების აქტივობების დაგეგმვის, შესაბამისობის ეფექტურობის დადგენა.

✓ გაკვეთილის დაგეგმვის გამოცდილების გაცნობა და წარმატებული ნიმუშების შერჩევა.

- **კვლევის მეთოდები:**

- ✓ წყაროების ანალიზი , სასწავლო პროცესზე დაკვირვება, შედარება, გამოცდილების შესწავლა, ინტერვიუ, ცხრილების მონაცემების დამუშავება, ინტერნეტ- რესურსების მოძიება.
    - კვლევის შედეგები სანდოობისათვის
- ✓ ინტერვიუს, მონაცემთა შეგროვების ჩამონათვალი, დაკვირვების მიზნის ვარიანტები გაცნობილ იქნას შესაბამის სპეციალისტებთან, კვლევის შედეგების მოსაზრებები გავაცანი რესპოდენტებს, გათვალისწინებულ იქნა მათი შეხედულებები, მოსაზრებები.
    - **კვლევის მატერილურ- ტექნიკური ბაზა:**

წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა , წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლა. საჯარო სკოლები ინტერპრეტაციის გამოხმაურება.

- **კვლევის მეცნიერული სიახლე:**

მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სიახლე, პროცესის მოკლევადიანი დაგეგმვის მეთოდიკა შეივსო ახალი ეფექტური მიდგომებით, განსაზღვრულია გაკვეთილის ტიპის არჩევის, სასწავლო მიზნისა და აქტივობების, შესაბამისობის, ეფექტურობის გზები და საშუალებები.

- **კვლევის თეორიული მნიშვნელობა**

გაანალიზებული იქნას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული პედაგოგიურ მეცნიერებათა ასპექტი, უახლესი კვლევების შედეგები, წარმატებული გამოცდილების ამსახველი მასალები. ჩამოყალიბდა თვალსაზრისი სასწავლო პროცესის დაგეგმვის მასალებიდან გამომდინარე თეორიული და პრაქტიკული, ცოდნისა და უნარების მიმართებითი. კვლევა ჩატარებულია ყველა პრობლემის განხილვასათან დაკავშირებული პარაგრაფების მიხედვით.

- **კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა**

ნაშრომი კვლევის შედეგები მოცემულია დასვენების, რეკომენდაციების,ნიმუშების სახით, რაც მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს ამაღლებს.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს: განათლების მიმართების სტუდენტები გამოიყენებენ სემინარის მოსამზადებელ სასწავლო პრაქტიკაზე. მეთოდიკას სტუდენტები გამოიყენებენ გაკვეთილის დაგეგმვის დროს, მოქმედი მასწავლებლები გამოიყენებენ გაკვეთილის დაგეგმვასა და პროცესში პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს, როგორც დამხმარე მასალას.

აპრობაცია- კვლევის შედეგის, პერიოდული კვლევის პროცესამდე გაეცნენ სტუდენტთა და მოსწავლეთა კონფერენციას 2018წელს, განათლების ბაკალავრიატის სტუდენტებს 2018წელს , მოქმედ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს 2018 წელს.

**ნაშრომის სტრუქტურა:**

ნაშრომი შედგება შესავლის, თავებისა და პარაგრაფებისაგან, დასკვნებისა და რეკომენდაციისაგან , ლიტერატურის დასახელებისაგან.

**პირველი თავის** - სასწავლო პროცესის დაგეგმვის ზოგიერთი ასპექტი:

**პირველ პარაგრაფში - გაკვეთილის ტიპები** პედაგოგიკაში ისევე როგორც მეცნიერების ყველა დარგში , ხდება გარკვეული ცვლილებები, სწავლების ორგანიზაციის უმთავრეს ფორმად.

ამ პარაგრაფში განხილულია გაკვეთილის სხვადასხვა ტიპები,თუ როგორ რა ხერხით ტარდება ესა თუ ის გაკვეთილი, ასევე მოცემულია თუ რას ითვალისწინებს მასწავლებელი ამა თუ იმ ტიპის გაკვეთილის არჩევაში.

**მეორე პარაგრაფში - ჯგუფში, წყვილებში და დიფერენციული მუშაობა.** - ამ პარაგრაფში მოცემულია თუ როგორ რა სახით ტარდება „ჯგუფში, წყვილებში,დიფერენციული“ სამუშაოები. ჩამოთვლილია თითოეული მათგანის მნ9შვნელობები გაკვეთილის პროცესში.

**მესამე პარაგრაფში - სახელმძღვანელო მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში** - როგორც ვიცით სასწავლო პროცესში სახელმძღვანელოს ხარისხი რამდენიმე ათეული წელია საკამათო საგანია არა მხოლოდ პედაგოგიურ , არამედ ფართო საზოგადოებაში . საკამათოა შინაარსის სტრუქტურა დიზაინი , სიმძიმე.

**მეოთხე პარაგრაფში - გაკვეთილის სასწავლო მიზნის განსაზღვრის პრობლემა** - ჩამოთვლილია ის მოთხოვნები რომლებიც საჭიროა გაკვეთილის ჩატარებისათვის.ასევეა მითითებული გაკვეთილის მიზანი და შედეგი თუ რა მიზანზე და შედეგზე უნდა გავიდეს მოსწავლე ამა თუ იმ გაკვეთილის შემდეგ. ამ პარაგაფში მოცემულია სწავლება/სწავლის მეთოდები რომელთაც გვთავაზობს ტრადიციული და ინოვაციური ტექნოლოგიები.

**მეხუთე პარაგრაფში - სასწავლო აქტივობების დაგეგმვა გაკვეთილზე** - გაკვეთილის აქტივობა არის მასწავლებლის მიერ დაგეგმილი ესა თუ ის გაკვეთილი რომელიც მოსწავლის შესაბამისად უნდა იყოს შერჩეული. როგორც ვიცით სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი მრავალფეროვანია აქ მოცემულია ორი სახით : 1) სიის სახით 2 ) სქემის სახით. მოცემულია რეკომენდაციები გაკვეთილის აქტივობების შესახებ.

**მეორე თავის - გაკვეთილის დაგეგმვის გამოცდილება**

**მეექვსე პარაგრაფში - წარმატებული გამოცდილების ნიმუშები -** ნაშრომზე მუშაობის პერიოდში შევისწავლე სხვადასხვა მასწავლებელთა გამოცდილებები , ასევე შევაგროვე საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა რომელიც ამ პარაგრაფშია მოცეემული. დავესწარი გამოცდილი, ენერგიული მასწავლებლების გაკვეთილებს რომლის შემდეგაც მე ჩავატარე გაკვეთილი IV კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში რომლის გეგმაც მაქვს მოცემული ამ პარაგრაფში.

## თავი პირველი სასწავლო პროცესის დაგეგმვის ზოგიერთი ასპექტი

### § 1 გაკვეთილის ტიპები

„ მე მასწავლებელი, ქედს ვუხრი, გაკვეთილო, შენს დიდსულოვნებას, შენს გულს, ბავშვებზე სრულ ზრუნვას, შენს სულს რომელიც მიმართულია მათი მომავლისაკენ. ქედს ვიხრი და მადლობას გიძღვნი , რომ შენ მეხმარები მე აღვზარდო სამშობლოს ღირსეული ადამიანები და ამასთან მანიჭებ ბედნიერებას ვიცხოვრო პედაგოგიური ცხოვრებით.

მე აგიგებდი, „ შენ, გაკვეთილო, ყველაზე დიდებულ ძეგლს ვარდისფერი მარმარილოდან “- ეს სიტყვები ეკუთვნის მეცნიერსა და მასწავლებელს შალვა ამონაშვილს.

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, ჩვენი ბავშვობა კი გაკვეთილიდან მოდის. ნაცნობი და ახლობელი, ცვალებადი და სიახლეების მოყვარული გაკვეთილი ისევ იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

პედაგოგიკაში ისევე როგორც მეცნიერების ყველა დარგში, ხდება გარკვეული ცვლილებები, სწავლების ორგანიზაციის უმთავრეს ფორმად.

სკოლის პრაქტიკაში გამოიყენება გაკვეთილის სხვადასხვა ტიპები. მასწავლებელი ამა თუ იმ ტიპის გაკვეთილის აჩევისას ითვალისწინებს: საგნის თავისებურებებს, შესწალილი მასალის ხასიათს, მოსწავლეთა ასაკს, კლასის შემადგენლობას , შესაძლებლობას, გამოსაყენებელი მეთოდების ეფექტურობას.

გაკვეთილის ორგანიზაციის შესახებ პედაგოგიურ მეცნიერებაში მრავალფეროვანი და საინტერესო გამოკვლევებია, იგი უკავშირდება გაკვეთილის ტიპების კლასფიკაციას, გაკვეთილზე აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებას, სასკოლო სახელმძღვანელოების, შეფასებას და ა.შ.

საკითხთა მრავალფეროვნებიდან განვიხილავთ შეხედულებებს გაკვეთილის ტიპების შესახებ. წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ გაკვეთილის ტიპი დამოკიდებულია იმ პერიოდში არსებულ მოთხოვნებსა და რეფორმებზე. გავიზიარეთ გაკვეთილის ტიპების ის კლასიფიკაცია, რომელიც მხარდაჭერილი იყო კლასიფიკაციის ჩამოყალიბების პერიოდში და მათგან ზოგიერთი დღესაც არის გამოყენებაში.

შემოგთავაზებთ ამოკრეფილ მასალებს.:

- ✓ აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე 1969, წიგნიდან „ პედაგოგიკა“
  1. კომბინირებული გაკვეთილი
  2. ახალი მასალის გაკვეთილი
  3. განმეორება განზოგადების გაკვეთილი.
- ✓ მეცნიერი ნიკოლოზ გუზოვი 1981 წიგნიდან „ ვისწავლოთ სწავლა „
  1. თემის საერთო განხილვისა და მისი შესწავლის მეთოდიკა.
  2. კომბინირებული სემინარული მეცადინეობა.
  3. ცოდნის განზოგადბისა და სისტემატიზაციის გაკვეთილი.
  4. საგანთა შორის მასალის განზოგადების გაკვეთილი
  5. გაკვეთილი პრაქტიკული.
- ✓ დიდაქტიკოსები: ისააკ ლერნერი, მიხეილ სკატკინი 1981, წიგნიდან „საშუალო სკოლის დიდაქტიკა “
  1. ახალი მასალის გადაცემისა და შესწავლის გაკვეთილი

2. ცოდნის გამოყენების, უნარისა და ჩვევების ფორმირების გაკვეთილი
3. ცოდნისა და უნაის შემოქმედებითად გამოყენების პრობლემური გაკვეთილი
4. განმაზოგადებელი განმეორების, ცოდნისა და უნარის სისტემატიზაციის გაკვეთილი.
5. სხვადასხვა ელემენტების შერწყმის გაკვეთილი.

✓ მეცნიერი ვასილ ონიშენკო (1981, წიგნიდან, „ გაკვეთილი თანამედროვე სკოლაში.)

1. ახალი ცოდნის შეძენის, უნარებისა და ჩვევების გამომუშავების, განზოგადებისა და სისტემატიზაციის გაკვეთილი.
2. ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შემოწმების, შეფასების, კორექციის გაკვეთილი.
3. კომბინირებული გაკვეთილი
4. ცოდნის კომპლექტურად გამოყენების გაკვეთილი

✓ აკადემიკოსი ალექსანდრე გობრონიძე(2000, წიგნიდან „პედაგოგიკა")

1. კომბინირებული ანუ შერეული გაკვეთილი;
2. ახალი ცოდნის გადაცემის გაკვეთილი;
3. შესასწავლი მასალის განმტკიცების გაკვეთილი;
4. გაკვეთილი რომლის მიზანია შესასწავლის განზოგადება და სისტემატიზაცია
5. ცოდნის უნარისა და ჩვევების გამომუშავების გაკვეთილი.

თანამედროვე ლექსიკონები 2007 გვთავაზობს გაკვეთილის ტიპის სტრუქტურის მიხედვით, რომელიც სამი ფაზისგან შედგება საკითხი გაკვეთილის ტიპთან მიმართებაში, ამგვარად აქვს განხილული ჩარლზ ტემპლის წიგნში: სტრატეგიები სხვადასხვა საგანში (1998)

სამფაზიანმა გაკვეთილმა პოპულარობა მოიპოვა, გამოკითხვით პოპულარობა განაპირობა პროფესიულ ტრენინგებზე გაკვეთილების ორგანიზაციის ფორმის სამფაზიანი მოდელის ნიმუშების ჩვენებამ .

განვიხილოთ რეკომენდებული გაკვეთილის  თითოეულ ფაზასთან მიმართებაში, ამჟამად ტერმინი  II „ფაზა“ ჩაანაცვლა „ეტაპმა „ ან აღნიშვნამ “A”,  “B” , “C”.

I ფაზა: გამოწვევა/პროვოცირება

მასწავლებელი ცდილობს მობილიზება გაუკეთოს მოსწავლეთა ცოდნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით,  ამისთვის იყენებენ შეკითხვებს კლასის მოსამზადებლად და მსჯელობს საჭირო  მიმართების წასამართავად.

პროვოცირება გამოწვევისათვის ძალზე ეფექტურია : სიტუაციური ამოცანები, დაუსრულებელი ისტორიის გაგრძელება, ილუსტრაციების ან ფილმის ჩვენება, ლექსის ან შესწავლილი მასალის მოსმენა.

II ფაზა სიღრმისეული წვდომა.

გულისხმობს მასალის შესწავლას, როდესაც შეიძლება მივმართოთ ლექსიკურ ჩართვას, საკლასო დისკუსიის, ღია და დახურულ შეკითხვებს, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტებისა  და დამატებითი ინფორმაციის გაცნობას.სქემებს.

III ფაზა რეფლექსია ანუ გააზრება

ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს შესწავლილი, განავითაროს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, გაავლოს პარალელები, გამოთქვას მოსაზრებები, დაასაბუთოს, იმსჯელოს, მიიღოს გადაწყვეტილება, შეაფასოს მიღწეული შედეგი.

გამოწვევა ანუ პროვოცირება მცირე დროში ხდება 2-5 წუთით მაგრამ ბევრის მომცველია და ძირითადათ განაპირობებს გაკვეთილისათვის მოტივაციის შექმნას, საგაკვეთილო აქტივობების განხორციელებისათვის მზაობა.

განვიხილოთ გამოწვევის ფუნქციები - სქემით




დავალება დაფიქსირებისათვის: დაასახელეთ თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია,დაასაბუთეთ: „მოთელვის“ ეფექტური გამოყენებისათვის რჩევები

- შექმენით „მოთელვის“ სხვადასხვაგვარი სავარჯიშოები
- შეარჩიეთ საგაკვეთილო თემის, მიზნისა და ამოცანების შესაფერისი სავარჯიშოები.
- „დაამყარეთ კავშირი მოთელვასა“ და გაკვეთილის სხვა ელემენტებს შორის

დააკვირდით „მოთელვის“ გავლენით გამოწვეულ შედეგს, საჭიროებისამებრ შეცვალეთ.

გასათვალისწინებელია, რომ აქტიური სავარჯიშოების ორი ჯგუფი გამოიყოფა.

ე.წ.“უნივერსალური გამოწვევა“, ნებისმიერ გაკვეთილზე გამოიყენება. იგი ხელს უწყობს სასურველი გარემოს, განწყობის შექმნას, რაც მოსწავლეს წარმატების მიღწევაში, ყურადღების მობილიზებაში, შემეცნებითი პროცესის გააქტიურებაში, მეხსიერებისა და აზროვნების სრულყოფაში ეხმარება.

გამოწვევის მეორე ტიპს „თემატური“ გამოწვევა ეწოდება, რადგან იგი კონკრეტული საგნის სწავლებას უკავშირდება და სწავლის მოტივაციას ზრდის.

ჩავატარე კვლევა სასწავლო პროცესზე დაკვირვებით.

კვლევის მიზანი : რამდენად ეფექტურად იყენებენ პრაქტიკაში მასწავლებლები გამოწვევის ფაზას.

**კვლევის ობიექტი იყო 15 მასწავლებლის გაკვეთილი** .

კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ მასწავლრბრლთა 87 % იყენებს გამოწვევის ფაზას.

შემოგთავაზებთ ნიმუშს „პრაქტიკული გამოცდილებიდან“ „უნივერსალური გამოწვევა“

„გაცნობა“, დახატეთ სამი რამ რაც გაგახსენდათ, ნახატების შემდეგ კითხვები : რა სჭარბობს ნახატებში, სიჭარბე თქვენ რა განწყობაზე მეტყველებს?

- დაასახელეთ ჩანთიდან ერთი ნივთი (განსაზღვრეთ ჩანთის პატრონის ხასიათი)
- რომელ გაკვეთილზე მოდიხართ ხალისიანი? (განსაზღვრეთ განწყობის მოტივი )
- გინახავთ სკოლაში მიმავალი ბავშვი? ( ეძიეთ მიზეზი ) „თემატური გამოწვევა „
- „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო“- რა განწყობა შეგიქმნათ ამ სიტყვებმა?
- „ სიბრძნე და გამოცდილება სწორი არჩევანის გაკეთებაში ეხმარებოდა“? ხომ არ იცით ვისზეა ნათქვამი?
- თქვენთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდი, რადგან მოვიპოვე დისკი „გალაქტიონი“, რომელზეც გალაქტიონის ლექსებს კითხულობენ და მის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს მღერიან. მე ძალიან მომწონს სიმღერა ( „მაგნოლია“), ლექსი „მზეო თიბათვისა“, თქვენ რისი მოსმენა გსურთ?

გაკვეთილის მიზანმა, შინაარსმა შეიძლება გვიკარნახოს მისი ისეთი აგებულება, როცა გაკვეთილის ეტაპები ერთდროულად წყვეტდეს რამდენიმე დიდაქტიკურ ამოცანას, მაგალითად: მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის ათვისებისას, მასწავლებელი იმავდროულად ააქტიურებს მოსწავლეთა მიერ უკვე შეძენილ ცოდნას, ატარებს გამოკითხვას, გზადაგზა აყალიბებს მათ სასწავლო შრომის უნარსა და ჩვევებს. ასეთ შემთხვევაში გაკვეთილის ყველა ეტაპი სტრუქტურულად დაყოფილი არიან სხვადასხვა თანმიმდევრობით და დროდადრო ერწყმიან ერთმანეთს (ალ.გობრონიძე 2000,165)

გაკვეთილი ჩატარების შინაარსის (ხერხების მიხედვით) მოიცავს სხვადასხვა ტიპს იგი საკმაოდ მრავალფეროვანია, მეცნიერული წყაროებსა და პედაგოგიური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შემოგთავაზებთ ჩამონათვალს.

- კომბინირებული გაკვეთილი
- ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი
- ცოდნის განზოგადებისა და სისტემატიზაციის
- განმეორება განზოგადების
- თემის საერთო განხილვისა და მისი მნიშვნელობის მეთოდიკაზე დაუფლება
- საგანთა შორის მასალის განზოგადების
- გაკვეთილის პრაქტიკული
- ახალი მასალის გადაცემისა და შესწავლის
- ცოდნის გამოყენების, ჩვევების ფორმირების გამოყენების
- განმაზოგადებელი განმეორების ცოდნისა და უნარის
- სისტემატიზაციის გაკვეთილი
- სხვადასხვა ელემენტის შერწყმის
- ცოდნის უნარებისა და ჩვევების შემოწმების შეფასების გაკვეთილი
- ცოდნის კომპლექსურად გამოყენების
- გაკვეთილი პრესკონფერენცია
- გაკვეთილი ინტერვიუ
- გაკვეთილი საგანმანათლებლო სემინარი
- გაკვეთილი მიუზიკლი
- გაკვეთილი გამიფენა (ესეების, თეზისებისა და სხვა )
- ურთიერთ სწავლების გაკვეთილი
- გაკვეთილი „მე ვიკვლევ“
- წერის გაკვეთილი ( თავისუფალი,არჩევითი, საავტორო და სხვა.)
- გაკვეთილი შეხვედრა ( წიგნის ავტორთან, მოვლენის თვითმხილველთან და სხვა. )
- გაკვეთილი ექსკურსია
- გაკვეთილი ტელეხიდი

- გაკვეთილი საგანმანათლებლო სემინარი
- გაკვეთილი ღია ბარათი
- როლითი თამაშის გაკვეთილი
- კინო გაკვეთილი.

ეს ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის, რადგან მასწავლებლები ეძებენ ახალ გზებს და პოულობენ კიდეც, მაგ: „ შებრუნებული საკლასო ოთახი“, როცა გაკვეთილზე ასახსნელია ახალი მასალა, მასწავლებლების კომენტარის ჩანაწერი ვიდეოს სახით გაქვთ სახლში შესასრულებლად, ხოლო საშინაო დავალებას ამზადებენ სკოლაში გაკვეთილზე.

შემოგთავაზებთ გაკვეთილის ზოგიერთი ტიპის გამოყენების მეთოდს: გაკვეთილი ღია ქსელითი - პარალელურ კლასთან ან მეგობარ თანაკლასელებთან ერთად ლიტერატურული ჟურნალის მომზადება . გაკვეთილი პრეს-კონფერენცია-წარმართავს და კითხვებზე პასუხობს რომელიმე ნაწარმოების გმირი, მაგ: აკაკი წერეთლის ,,გამზრდელიდან , ჰაჯი უსუპი“.

გასვლითი საგანმანათლებლო სემინარი.- მათ შეუნახავთ ენა , სჯული, ერი, სამეფო ‘’ ,,ზვარეს ეკლესია საუბარი პოეზიაში ასახულ წმინდა მოწამეთა შესახებ .

გაკვეთილი დისკუსია -პრაქტიკული გრამატიკული : აუცილებლობა თუ სასურველი .

კინო - გაკვეთილი -ზაქარია ფალიშვილის ოპერა ,,აბესალომ და ეთერი „ (ჩანაწერი). ხალხური ,, ეთერი“ .გაკვეთილი კომპიუტერთან -ან ვიქტორინა ,, ანდაზები „

გაკვეთილი ტელეხიდი- თბილისი ლონდონი. თემა: სიცოცხლის სევდა (გოდერძი ჩოხელის ,,მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი ‘’, ჯეკ ლონდონის ,, საოცარი რამ არის სიცოცხლე.

გაკვეთილი მიუზიკლი-,,ლექსო არ დაიკარგები“(ქართული ხალხური პოეზიის შემაჯამებელი გაკვეთილი )

გაკვეთილი დიალოგი - ,,რა არის ვეფხისტყაოსანი“ სავარაუდო დიალოგის საკითხები : ვეფხის ტყავის ტარების სიმბოლური მნიშვნელობა , პოემის სათაური ტრაგიზმის მომცველ .

მასწავლებლის საქმიანობის , პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა გვთავაზობს სამოდელო გაკვეთილის ტიპს . 1) ინტეგრირებული გაკვეთილი . 2) პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი 4)ინოვაციური გაკვეთილინ.

სამოდელო გაკვეთილის ჩატარება აუცილებელია კარიერული წინსვლისთვის , კერძოდ წამყვან და მეცნიერ მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად .

ამ მიმართებით მოქმედი მასწავლებლის საქმიანობაზე, რომ სამოდელო გაკვეთილის ოთხ ტიპში მოექცევა ვიწრო ჩარჩოდ , მაშინ , როცა არჩევანი ფართოა და მრავალფეროვანი . ამ არჩევანს მასწავლებლები იყენებენ ინოვაციურ ტიპში ან დეტალებს სხვა ტიპის გაკვეთილებში.

გაკვეთილის ტიპის არჩევა ერთ-ერთი რთული მომენტია . იგი დამოკიდებულია შესასწავლი მასალის შინაარსებულ, გამოსაყენებელ ხერხებსა და მეთოდებზე, მასწავლებლის გამოცდილებასა და ოსტატობაზე .

სასკოლო პრაქტიკაზე დაკვირვებით ცხადი გახდა , რომ მასწავლებლები არცთუ იშვიათად ირჩევენ ,,ძველი გზით “სიარულს და თვლიან , რომ მოსწავლეები შეჩვეული არიან ,,მისეულ სტილს და შეცვლას საჭიროდ არ მიიჩნევენ .

ჩავატარეთ კვლევა , რომლის მიზანი იყო, გაკვეთილის მრავალფეროვანი ტიპის გამოყენებაში მასწავლებელთა დამოკიდებულების დადგენა.

კვლევის მეთოდიდან ავირჩიეთ სიტუაცია ორი ვარიანტით, შემოიხაზებოდა ერთ-ერთი.

**გთავაზობთ ამ ვარიანტებს:**

ვარიანტი I -ა) ლექციურ გაკვეთილზე მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეთა ყურადღება მიიპყროს ხმის ტემბრით, საინტერესო ადგლებზე მახვილის დასმით, თითოეულ მოსწავლეზე მზერის „ განაწილებით".

ბ) აქტიური სწავლების დროს გაკვეთილზე მოსწავლეებს მასალის მოძიების უნარის გამომუშავების, მასწავლებლის მიერ მიწოდებული და წიგნებიდან მიმდინარე ინფორმაციის შედარების საშუალება აქვს, მოსწავლის წინაშე კონკრეტული ამოცანა, ამოცანის გადაჭრის კონკრეტული გზაა ნაჩვენები.

ვარიანტი II - ა) ჩვეულებრივ გაკვეთილზე თემა იწყება გამოცხადებით, მასწავლებელი აქტიურობს, მოსწავლეები ისმენენ, კლასში სიჩუმეა, სჭარბობს მონოტონური მონოლოგიის ავტორიტეტი.

ბ) აქტიური გაკვეთილი იწყება პროვოცირებით, გამოწვევით,პრობლემური საკითხის დასმით, მიმდინარეობს განხილვა, განსჯა და დისკუსია, საქმიანი ხმაური.

ვარიანტი III - ა) მასწავლებლები გაკვეთილს ხსნიან, საუბრობენ საინტერესოდ და გადიან.

ბ)მასწავლებლები მოსწავლეებთან როლით თამაშებით ეცნობიან აალ მასალას , გმოთქვამენ თავიანთ აზრებს და მსჯელობენ.

ვარიანტი IV - ა)მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს, მხოლოდ თვითონ ლაპარაკობს, წერს, იძლევა დავალებებს და ყველა უსმენს.

ბ) გაკვეთილზე მოსწავლე თავს თავისუფლად გრძნობს, რაც აზრი აქვს თავში იმას ამბობს,ცდილობს განსაკუთრებული თქვას, მასწავლებელს უხარია ბავშვების აქტიურობა.

კვლევის შდეგები მოულოდელი აღმოჩნდა, გამოკითხულ იქნა 32 მასწავლებელი, აქედან 22-მა აირჩია (ბ) სიტუაცია და ამით მხარი დაუჭირა სხვადასხვა ტიპის გაკვეთილის გამოყენებას.

შედეგები გავაცანით რესპოდენტებს, მათ შორი იყვნენ ისინიც ვინც „თავის სტილზე" დარჩენას ამჯობინებდნენ.

სიტუაციების შეთავაზებამდე ეს ფაქტი აიხსნა იმით, რომ ისინი ნაკლებად იცნობდნენ გაკვეთილის მრავალფეროვან ტიპებს და მიაჩნიათ, რომ იზრუნონ „თავისი სტილის" შეცვლაზე, საამისოდ კი სჭეროდათ მეთოდური დახმარების.

ჩავატარეთ კვლევა გაკვეთილის სხვადასხვა ტიპისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების შესახებ.

კვლევის მიზანი: სხვადასხვა ტიპის გაკვეთილებისადმი მოსწავლეთა კმაყოფილება-უკმაყოფილებისადმი კვლევა.

კვლევა ჩატარდება 2018წლის აპრილსა და მაისში , კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კვლევაში მონაწილეობდა სკოლის მოსწავლეთა( 7)

I ჯგუფი II-VI კლასის -15 მოსწავლე,

II ჯგუფი VII-IX კლასის- 15 მოსწავლე,

III ჯგუფი X-XII კლასის -15 მოსწავლე,

კვლევის შედეგების მიხედვით გაკვეთილის სხვადასხვა ტიპის ჩატარებით:

კმაყოფილია I ჯგუფი -12 მოსწავლე , უკმაყოფილოა -3 მოსწავლე

კმაყოფილია II ჯგუფი -13 მოსწავლე, უკმაყოფილოა -2 მოსწავლე

კმაყოფილია III ჯგუფი- 15 მოსწავლე, უკმაყოფილოა -0 მოსწავლე

ეს შედეგი ცხადყოფს, რომ მოსწავლეებს  მოსწონთ  გაკვეთილის სხვადასხვა ტიპით ჩატარება, ეს მათთვის საინტერესო, სახალისო და მიმზიდველია.

ამრიგად,  გაკვეთილი ჩატარების შინაარსით მიზნისა და მიღწეული შედეგის გათვალისწინებით შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის.

მოსწავლეების საქმიანობის დაწყებას, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით შემოგთავაზებთ სამოდელო გაკვეთილის ოთხ ტიპს

1. ინტეგრირებული გაკვეთილები
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი
4. ინოვაციური გაკვეთილი

მოსწავლეები მხარს უჭერენ გაკვეთილის ჩატარებისათვის მრავალფეროვანი სტილის გამოყენებას, მაგრამ საჭიროებენ ამ მიმართებით მეთოდურ დახმარებას.

სხვადასხვა ტიპის გაკვეთილს მოსწავლეთა კმაყოფილება დადებითია, მათ მიაჩნიათ, რომ მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილის ჩატარება მათთვის საინტერესო სახალისო და მრავალფეროვანია.

აქედან გამომდინარე, ამ პარაგრაფში მოცემულია გაკვეთილის სხვადასხვა ტიპები, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილის ჩატარების დროს, აქვე განხილულია  სამფაზიანი გაკვეთილები და მათი მნიშვნელობა, ასევე ჩამოთვლილია გაკვეთილის  ზოგიერთი ტიპის  გამოყენების მეთოდები თუ როგორ რა ხერხით ტარდება ესა თუ ის გაკვეთილები და რას უწყობს ხელს მოსწავლეებში, რადგანაც გაკვეთილის ტიპის არჩევა ერთ-ერთი რთული მომენტია. იგი დამოკიდებულია შესწავლილი მასალის შინაარსზე, გამოსაყენებელ ხერხებსა და მეთოდებზე, ჩატარების პირობებზე, მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, მასწავლებლის გამოცდილებასა და ოსტატობაზე. მოკლედ არი განხილული გაკვეთილის სხვადასხვა ტიპები რომელი როდის როგორ გამოიყენება და რა უნარებს უვითარებს მოსწავლეებს.

## § 2.ჯგუფში, წყვილებში და დიფერენციული მუშაობა.

გაკვეთილის ტიპის არჩევას უკავშირდება გაკვეთილის სტრუქტურის არჩევა. ტერმინი „სტრუქტურა“, როგორც ცნობილია ნიშნავს გარკვეულ მოწყობას, აგებულებას, კავშირს. შემოგთავაზებთ გაკვეთილის სტრუქტურის მოდელს:



ნებისმიერი სტრუქტურა  ითვალისწინებს აუცილებელ შედეგს: ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას დამოკიდებულებას, ანუ კოგნიტური შედეგები - ცოდნა რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა როცა გაკვეთილს ან თემას დაასრულებენ.

ქცევითი შედეგები - უნარები რისი გაკეთება უნდა შეძლოთ. მოცემული შედეგები - დამოკიდებულებები - რა შეხედულებები ექნებათ გაკვეთილის შესახებ და რამდენად შეძლებენ მის გამოყენებას ცხოვრებაში.

გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით ცოდნის სამ სახეს გამოყოფენ :

1. დეკორაციული ცოდნა - რა ვიცი?
2. პროცედურული ცოდნა - როგორ გავაკეთო?  როგორ შევასრულო?
3. პირობისეული ცოდნა - როდის, რატომ ან რაში გამოვიყენებ.

| ჯგუფურ მუშაობაში გმოცდილი მოსწავლე | ჯგუფურ მუშაობაში საშუალოდ გამოცდილი მოსწავლე | ჯგუფურ მუშაობაში კარგად გამოცდილი  მოსწავლე |
|---|---|---|
| ჯგუფშია მაგრამ არ აქტიურობს | აკვირდება, ამოწმებს | აკრიტიკებს აზრებს და არა ადამიანებს |
| უყურებს გამომსვლელს | სვამს შეკითხვებს | აღწერს ქცევებს და არა ადამიანებს |

| | | |
|---|---|---|
| ეხმარება თანაგუნდელებს მუშაობის დასრულებაში | სხვის აზრს ითვალისწინებს | პერსპექტივაში წარმოიდგენს მოვლენებს |
| მასალებს უზიარებს თანაგუნდელებს | კომუნიკაციას ამყარებს | პერიფრაზს უკეთებს წინადადებებს |
| თუ მისი ჯერი დგება,საკუთარ აზრს გამოთქვამს | იყენებს „მე „წინადადებებს | ეძებს პრობლემების გადაჭრის გზებს |
| მოკრძალებული ხმით საუბრობს | ყურადღებით უსმენს | ისწრაფვის კონსესუსისაკენ |
| მიჰყვება მოვლენების თანმიმდევრობას | იძლევა აზრის განსხვავებულ ფორმულირებას | აჯამებს |
| | აქებს თანაგუნდელებს | ახდენს აზრების დიფერენცირებას,კამათობს ტაქტიანად |

შემოგთავაზებთ ცხრილს, რომლის ავტორები არიან : თეა გველესიანი , ნინი თოხაძე, ბელა კოპალიანი და სხვა. (2002).

მნიშვნელოვნია მასწავლებლის როლი ჯგუფური მუშაობის პროცესში, იგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ გაკვეთილის მიზნებსა და ამოცანებს მარტივად და გასაგებად ჩამოყალიბებულს.
- ✓ ჯგუფის გეგმაზომიერად და წინასწარ მოფიქრებულად განაწილებას.
- ✓ ჯგუფებისათვის მუშაობის მონოტონური დაკვირვება იმაზე თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ჯგუფი ან დახმარებას ხომ არ საჭიროებს
- ✓ გაკვეთილის შედეგების შეჯამება და ჯგუფური მუშაობის პროცესში ურთიერთთანამშრომლობის შეფასება.

შემოგთავაზებთ ჯგუფური მუშაობის ერთ -ერთ რუბრიკას, რომელიც

ამოღებულია პროექტიდან „თუნინგი“ (2007)

| მიღწევის I დონე | აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს ჯგუფის მუშობაში და ხელს უწყობს ნდობასა და კეთილგანწყობას, ფოკუსირებულია საერთო მიზნებზე | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მახასიათებლები | | | | |
| ინდიკატორები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| დროულად ასრულებს მასზე განაწილებულ დავალებებს | არ/ვერ ასრულებს დავალებებს | ნაწილობრივ და დაგვიანებით ასრულებს დავალებებს | დათქმულ ვადაში ასრულებს დავალებას | დავალების შესრულების ხარისხი სასარგებლოა ჯგუფისათვის | დავალების შესრულება ხელს უწყობს და ახალისებს ჯგუფის სხვა წევრების მუშაობას |
| აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის შეხვედრებში, ცვლის ინფორმაციას ცოდნასა და გამოცდილებას. | ხშირად აცდენს ჯგუფის შეხვედრებს და დასწრებისას პასიურობს. | მცირედ მონაწილეობს და ისიც მხოლოდ სხვათა შემოთავაზებებით | ზოგადად აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის შეხვედრებში | მონაწილეობა ახალისებს სხვათა ჩართულობას და აუმჯობესებს მთლიანად ჯგუფის მუშაობას | მონაწილეობა და წვლილი ფუნდამეტურია,როგორც ჯგუფის დინამიკის,ასევე შედეგების ხარისხისათვის |
| მონაწილეობს დავალებების დეფინიციასა და განაწილებაში | ეწინააღმდეგება მუშაობის ორგანიზებასს | ჩართულობა შემოიფარგლება სხვების მიერ განსაზღვრული დავალებების | მონაწილეობს დავალებების დეფინიციასა და განაწილებაში | ორგანიზებულია და დავალებებს ეფექტურად ანაწილებს | ხელს უწყობს ორგანიზებულ სამუშაოს და მაქსიმალურად იყენებს ჯგუფის წევრების რესურსებს |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მიხედვით | | | |

| | მიღწევის დონე | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორები | მახასიათებლები | | | | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| მომართულია შეთანხმებასა და საერთო მიზნების მიღწევაზე | მომართულია პირადი მოხსენების მიღწევაზე | უჭირს პირადი და ჯგუფის მიზნების ინტეგრაცია | ჯგუფის მიზნები გათავისებულ ი აქვს | ხელს უწყობს მიზნების მკაფიო განსაზღვრასა და მათი მიღწევისათვი ს | ხელს უწყობს ჯგუფის მობილიზებას, მიზნების განსაზღვრისა და განხორციელებისას, როგორც შედეგი ჯგუფის მუშაობა მაღალი ხარისხისაა |



| | |
|---|---|
| მიღწევის დონე | აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს ჯგუფის მუშაობაში და ხელს უწყობს ნდობასა და კეთილგანწყობას ფოკუსირებულია საერთო მიზნებზე |

| ინდიკატორები | მახასიათებლები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| აღიარებს და ახორციელებს ჯგუფის ინსტრუქციებს | არ აღიარებს და ახორციელებს ჯგუფის ინსტრუქციებს | ცდილობს ჯგუფის ინსტრუქციებს მოარგოს საკუთარი ინსტრუქციები | აღიარებს და ახორციელებს ჯგუფის ინსტრუქციებს | მონაწილეობს ჯგუფის ინსტრუქციების შემუშავებაში | სთავაზობს გადაწყვეტილებებ ჯგუფის მენეჯმენტისა და დინამიკის გაუმჯობესებისათვის, ახორციელებს ინსტრუქციის შესრულების მონიტორინგს. |
| მონაწილეობს ჯგუფის მუშაობის პროცედურების შესრულებაში | არ იცნობს ან ყურადღებას არ აქცევს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს | ვერ იგებს და ვერ ახორციელებს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს | ადეკვატურად ასრულებს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს | აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის მუშაობის პროცედურების შემუშავებაში | ცდილობს კონსტრუქციულად გადაწყვეტილების მიღებას, პრობლემების თავიდან აცილებასა და შეწყვეტის მიზნით |

| მიღწევის დონე II | ჯგუფის მუშაობის გაძლიერება, ჯგუფის ყველა წევრის ინტეგრაციის უზრუნველყოფა და მათი მიმართვა სამუშაოს კარგ შესრულებაზე. | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორები | მახასიათებლები | | | | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხელს უწყობს ჯგუფის მთლიანობას, ადამიანებთან კომუნიკაციასა და დამოკიდებულებ ის შესაბამისად | აგრესიულია და ეჭვის ვეშ აყენებს ჯგუფის მიერ მიზნების მიღწევის შესაძლებლობას | პასიურია და ჯგუფის სხვა წევებთან შეზღუდული ურთიერთობა ავს | მკაფიოდ და პირდაპირ თავისი იდეებისა და შეხედულებების შესახებ | აქვს პოზიტიური დამოკიდებულე ბა ჯგუფის ყველა წევრთან, მხარს უჭერს და ახალისებს მათ. | ხელს უწყობს ჯგუფის მთლიანობას, ატარებს რა არა მხოლოდ ფორმალურ შეხვედრებს |
| დაინტერესებულ ია საზოგადოებისთ ვის ჯგუფური სამუშაოს მნიშვნელობით | უარყოფს ან ეჭვქვეშ აყენებს ჯგუფური მუშაობის სარგებელს | დაინტერესებუ ლია სხვათა წახალისებითს აერთო აქტივობაში მონაწილეობი სათვის | მხარს უჭერს და იცავს ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობას ახორციელებს პოზიტიურ შეფასებას | სჯერა რომ ინდივიდის მუშაობა გადამწყვეტია ჯგუფური მუშაობის წარმატებისთვის ა და მიზნების მიღწევაში. | ახალისებს გააცნობიერონ, რომ მათ სამუშაოს ფართო გამოხმაურება აქვს სხვა ჯგუფებს და სტრუქტურებში. |

| | მიღწევის დონე | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორე ბი | მახასიათებლები | | | | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ეფექტურად უძღვება შეხვედრებს | ვერ უძღვება შეხვედრებს | ცდილობს შეხვედრის გაძღოლას , მაგრამ ვერ აკონტროლებს პროგრამასა დ ადროს | ეფექტურად უძღვება შეხვედრებს და აღწევს დასახულ მიზანს | ეფექტურად უძღვება შეხვედრებს და აღწერს ყველა დამსწრეს | აღწერს ყველა დამსწრეს დაბალანსებულ მონაწილეობას და ჩართულობას |
| ჯგუფს ამბიციურ და მკაფიოდ განაზღვრუ ამოცანებს სთავაზობს | არ შეუძლია ჯგუფისათვის მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანების შეთავაზება | ჯგუფს აბნევს სთავაზობს მას არამკაფიოდ განსაზღვრუ ამოცანებს | ჯგუფს მიმზიდველ და მკაფიო განსაზღვრულ ამოცანებს სთავაზობს | ახალისებს ჯგუფს, ჩამოაყალიბო ს მიღწევადი მიზნები და მომავლის | ქმნის ჯგუფის ისეთ განწყობას, რომ წევრებს ჯგუფის ამოცანები საკუთარად მიაჩნიათ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მკაფიო ხედვა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხელს უწყობს ჯგუფში წარმოქმნილი სხვადასხვა მოსაზრების უთანხმოებისა და კონფლიქტის პოზიტიურ მენეჯმენტს | ხელს უწყობს კონფლიქტებს უთანხმოების გაღრმავებით | იბნევა და ვერ ათანხმებს არსებულ კონფლიქტებ, ცდილობს თავი აარიდოს ასეთ სიტუაციებს | უმკლავდება კონფლიქტებს, აქვს რა კომუნიკაცია ჯგუფის ყველა წევრთან. | უმკლავდება კონფლიქტებს აწონასწორებს რა წევრების მონაწილეობას | სხვებისათვის გასაგებს ხდის შეთანხმებული მუშაობის მომხიბლელობას |
| ახალისებს ჯგუფის ყველა წევრებს მიმართონ ჯგუფის გაძღოლასა და მენეჯმენტს | არ მოქმედებს ჯგუფის დინამიკის საწინააღმდეგოდ | მისთის რთულია ჯგუფის სხვა წევრების მხრიდან მუშაობისადმი დამოკიდებულების შექმნა.. | ახალისებს ყველა მონაწილეს, მიაჩნია რა ეს ჯგუფის მუშაობის წინაპირობად | იღებს ჯგუფის ყველა წევრის თანხმობას მიზნების მიღწევაზე და ყველა სხვა ასპექტზე | აღწევს იმ მგომარეობას, როდესაც ჯგუფის წევრბი სხვათა მოსაზრებებს როგორც საკუთარს ისე განიხილავენ. |

ჯგუფში მუშაობა ავითარებს ისეთ უნარებს, როგორიცაა: განსხვავებული აზრების მოსმენა და გაგება, შრომის განაწილების ეფექტურობის გაცნობიერება ,იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაკვეთილისთვის მზაობა და სურვილი თანამშრომლობის და მხარდაჭერის ღონისძიებების განვითარება და გააზრება

წყვილებში მუშაობა გაკვეტილის ორგანიზაციის ერთ ერთი საინტერესო ფორმაა მისი განხორციელება შესაძლებელია როგორც დიდ, ასევე მცირე კონტინენტიან კლასებში.

წყვილებში მუშაობისთვის გარემო ადვილი მოსაწყობია, ბავშვებს მოეთხოვებათ ყურადღების კონცენტრაცია, პასუხისმგებლობა მეწყვილის მიმართ.

წყვილებში მუშაობა ექვემდებარება განვითარებულ წერებს, რომელიც შეიძლება შეიმუშაოს კლასის საჭიროების გათვალისწინებით . გთავაზობთ ერთ - ერთ ზოგადი  წესების ჩამონათვალს .

- ✓ კლასი იყოფა წყვილებად, თუ რაოდენობის მიხედვით წყვილებად გაყოფა არ ხერხდება მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს „ინსპექტორის ‘‘  „ ექსპერტის’’ ან სხვა როლი .

**წყვილებში მუშაობის წესებია**

- ✓ წყვილებს მოეწოდება დავალება ინსტრუქცია და სამუშაო ფურცლები. დავალება შეიძლება იყოს საერთო ან ყველა წყვილისთვის განსხვავებული.
- ✓ მოსწავლეები აქტივობას ასრულებენ წყვილებში.
- ✓ სამუშაო დრო განსაზღვრულია დავალების სირთულის მიხედვით.

მასწავლებელი აწვდის ჯგუფს მუშაობის წესებს -უფლებებს მოსწავლეების შესრულებასა და დაცვაზე.

დიფერენცირებული მუშაობა :- ეს არის სწავლების აქტივობებისა და ინდივიდუალური საფეხურების შეჯერება .

მასწავლებლის განათლების მახასიათებლების მიხედით მასწავლებელი აცნობიერებს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე როგორც პიროვნება.  სწამს, რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო

პროცესში ხელს უწყობს, როგორც მოსწავლეთა მ ოტივაციიც ზრდას. მისი პიროვნული და კოგნიტურ განვითარებას , ასევე მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში.

დიფერენციული მუშაობა მიმდინარეობს სხვადსხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენებით. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: „კითხვების დასმა გაკვეთილზე'' :- კითხვების დასმით მასწავლებელი არკვევს, თუ როგორ გაიგო მოსწავლემ გაკვეთილი, ვის ჭირდება ხელახლად ახსნა, განმარტება, გარკვევა, ამიტომ აუცილებელია რომ მასწავლებელი ფლობდეს კითხვების დასმის სხვადასხვა ტექნიკას.

კითხვების განსხვავება შინაარსობრივი თვალსაზრისით, ანუ იმის მიხედვით, თუ რა მოეთხოვება  მოსწავლეს. კითხვა შეიძლება იყოს ინფორმაციული ან სააზროვნო. მაგ ; შეკითხვა -  ჩამოთვალეთ შვლის ნუკრის დამახასიათბელი თვისებები,

- ეს კითხვა ინფორმაციულია  მოსწავლე გაიხსენებს სახელმძღვანელოს ტექსტიდან შესაბამის ინფორმაციას.

შეკითხვა- თქვენი შეხედულებით როგორ განმარტავდით შვლის ნუკრის სიტყვებს ; „რას გვერჩით ადამიანებო რა დაგიშავეთ?-ეს არის სააზროვნო რადგან მოსწავლეებს სჭირდებათ არგუმენტების წარმოდგენა .

მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს დამაკვალიანებელი შეკითხვები რომლითაც წინასწარ მიუთითებს მოსწავლეს გარკვეულ პასუხისკენ . მაგ ;  „უკეთესი არ იქნებოდა, რომ ... ასე რომ გაეკეთებინა.. და სხვა  . ამგვარი კითხვების გამოიყენება იმ შემთხვევაში როცა მოსწავლეს უჭირს რთულ,სააზროვნო შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ვერ ერთვება საგაკვეთილო პროცესში. დამაკვალიანებელი შეკითხვებით კი უმოქმედოდ არ რჩება .გარდა ამისა წამახალისებელი აქტივობაც არის.

წყაროებზე მუშაობით ცხადი გახდა რომ შეკითხვა როგორც სტრატეგია ეფექტურია ჯგუფებში და წყვილებში , მუშაობის დროს , მაგრამ განსაკუთრებულია მის როლი დიფერენცირებული მუშაობის დროს . იგი საშვალებას იძლევა მარტივ

შეკითხვიდან და მარტივ პასუხიდან ,რთულ შეკითხვასა და რთულ პასუხზე გადასასვლელად, დროთა განმავლობაში კი თვითონ მოსწავლეების შეკითხვების დასმა . მაგ; „დაუსვა შეკითხვა თანაკლასელს.....“ შესაბამისად პასუხი მოითხოვო ვისგანაც გსურს'' ან ''მიწერე შეკითხვა მეგობარს „ მიმართე შეკითხვა ინტერვიუსთვის'' და სხვა .

აქედან გამომდინარე საჭიროა მოსწავლეები ასხვავებდენ დახურულ შეკითხვებს , რომელიც მოითხოვს პასუხს „დიახ '' ან „ არა'' და ღია შეკითხვებს , რომელიც მოითხოვს აზრთა სხვაობის გამოვლენას საკითხის სიღრმისეულ ცოდნასა და ანალიზს , ძიების დასკვნის უნარს და აშ. გასათვალისწინებელია ის გარემოება , რომ შეკითხვები იყოფა რამდენიმე ჯგუფად ;

1. ჰიპოთეზური - „რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ თუ“.....
2. განსჯით -„ როგორ შეგიძლია ხელი შეუწყოამ პრობლემის გადაჭრას ?...“
3. წამახალისებელი -მხარდამჭერი-„საინტერესოა რა მოხდა შედეგი”…
4. მასტიმულირებელი - „რა აზზრის ხართ?“...
5. კვლევითი - „რატომ ფიქრობ ასე?“...
6. შემაჯერებელი - „ შენ ფიქრობ , რომ...“
7. შემათნხმებელი - „ ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას? ..“
8. შემეცნებითი - „ წესების, ფაქტების, მოვლენების, განმარტების შესახებ“
9. პროცესუალური - „ რა პროცედურაა განსახორციელებელი „
10. პროდუქქტიული - „ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის შესახებ“

დიფერენცირებული მუშაობის კითხვების გარდა გამოიყენება სამუშაო ფურცლები დიფერენცირებული დავალებებით . ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს რთული სამუშაო აქვს შესასრულებელი რადგან გასათვალისწინებელია მოსწავლის შესაძლებლობა , თვითშეფასების უნარი, რათა დიფერენცირებული დავალება იყოს წამახალუსებელი, გამააქტივირებული, მოტივირებული და არა „ დამამცირებელი“ (ამას მეტი არ შეუძლია ). გასათვალისწინებელია, რომ დიფერენცირებული სწავლება

სრულიად აუცილებელი მიდგომაა პირველი კლასიდანვე რიგ საგნებში, მაგალითად მათემატიკაში, სამოტივაციო დანიშნულებისა და შინაარსის მასალა, მაგალითად სახალისო თამაშები, თავსატეხი სავარჯიშოები.

სწავლების დიფერენცირებაში მოიაზრება ის, რომ ყველა ბავშვს შეუძლია გააზრება, იდეების დამუშავება სხვა დონეზე, წახალისება ინდივიდუალურად საკითხის გადაწყვეტისაკენ შესაბამისი სირთულის სავარჯიშოების შესრულებაზე დუფლება.განმავითარებელი შეფასების მიზნობრივი გამოყენება.

გაკვეთილის ორგანიზებისათვის სტრუქტურის დაგეგმვასთან მიმართებაში ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: გაკვეთილის სტრუქტურის დაგეგმვის ფორმებიდან: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, დიფერენცირებული მუშაობა - რომელი ფორმაა მხარდაჭერილი მასწავლებელთა მიერ.

კვლევის სამიზნე ჯგუფი - დაწყებთი კლასების 36 მასწავლებელი (სხვადასხვა სკოლიდან) კვლევის ჩატარების დრო 2018წ.- მაისი, სექტემბერი.

კვლევის მეთოდი - ალტერნატივებს შორის ამორჩევა.

რესპოდენტების განაწილება

ქალაქის სკოლის მასწავლებელი - 18

სოფლის სკოლის მასწავლებელი - 18

მათ შორის

კერძო სკოლის მასწავლებელი - 18

საჯარო სკოლის მასწავლებელი - 18

რესპოდენტთა ამგვარი დაყოფის მიზანი იყო გამოგვეკვლია განმასხვავებელი ტენდენციები ,თუმცა ეს კრიტერიუმები ნაკლებად განმასხვავებელი გამოჩნდა.

კვლევის შედეგი :

მასწავლებლები იყენებდნენ სამივე ფორმას: ჯგუფში, წყვილებში, დიფერენცირებულს. მეტი მხარდაჭერა გამოუჩნდა ა) ჯგუფურ მუშაობას ბ) არის დიფერენცირებული და შემდეგი გ) წყვილებში მუშაობა.

ეს განპირობებულია იმით, რომ მასწავლებლის მიერ განვლილ ტრენინგებზე თვითონაც მუშაობენ ჯგუფებში და მიწოდებული მასალებიდან ძირითადათ არის ჯგუფებში სამუშაო. ამასთან მიუთითებენ, რომ თითქმის ყველა გაკვეთილზე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას კითხვების სახით, ნაკლებად დიფერენცირებული სამუშაოს ფურცლებზე. წყვილებში მუშაობას მიმართავენ უმეტესად სოფლის სკოლის მასწავლებელები კონტიგენტის სიმცირის გამო, ამასთან სასწავლო გარემოს შესაქმნელად მოხერხებულად მიაჩნიათ წყვილებში მუშაობა, რადგან იგი ავეჯის განსაკუთრებულ გადაადგილებას არ მოითხოვს, ამასთან წყვილებში სამუშაოს მეტი აქტივობების შედგენა სჭირდება.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე საჯაროდ მივიჩნევთ რეკომენდაციის სახით ჩაგვერთო გამოცდილება, რომელიც ჯგუფური მუშაობის მიღწევის დონეს განსაზღვრავს.

ამრიგად, გაკვეთილის ორგანიზაციის სტრუქტურის დაგეგმვისას ეფექტურია ჯგუფური, დიფერენცირებული და წყვილებში სამუშაოს გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია სტრუქტურის შესაბამისად სასწავლო გარემოს მოწყობა და აქტივობების დაგეგმვა მოსწავლეთა შესაბამისობის გათვალისწინებით.

დიფერენცირებული მიდგომი დროს ზუსტად უნდა განსაზღვროს რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში, შეაფასოს და დაეყრდნოს მოსწავლეთა შორის განსხვავებას, დააკვირდეს და დაარეგურილოს ყველა ეტაპზე დიფერენციაციის განსახორციელებელი საქმიანობა: მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართვა გაკვეთილის დაგეგმვასა და მნიშვნელოვანი ელემენტების გაანალიზებში. ( მათი რჩევების სურვილების , საჭიროებების გათვალისწინებით).

დიფერენცია განსაზღვრავს თითოეულ დავალებასა და სავარჯიშოს შესატყვისობის, მოსწავლეთა მოთხოვნილებებთან მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

**შინაარსი:** აქვე მოცემულია გაკვეთილის სტრუქტურის მოდელი: რადგანაც ნებისმიერი სტრუქტურა ითვალისწინებს აუცილებელ შედეგს : რა შეხედულებები ექნებათ გაკვეთილის შესახებ, რამდენად შეძლებენ მის გამოყენებას ცხოვრებაში და ა.შ. აქვე ყურადღება გამახვილებულია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით ცოდნის სამ სახეს გამოყოფენ. ამ თავში ძირითადათ მოცემულია: ჯგუფური, წყვილებში და დიფერენტირებული მუშაობის ძირითადი მნიშვნელობები ის თუ რა უნარებს სძენს მოსწავლეებს და როგორ უნდა ჩატარდეს ესა თუ ის გაკვეთილი ისე რომ სწორად იყოს მორგებული მთლიანად კლასზე. ამის შესახებ ჩატარდა კვლევაც თუ რომელს ფორმას უფრო ანიჭებენ მასწავლებლები „ჯგუფური, წყვილებში თუ დიფერენტირებული“. აღმოჩნდა რომ მასწავლებლების უმეტესი ნაწილი უფრო ჯგუფურ მუშაპბას ანიჭებენ უპირატესობას.

## § 3 სახელმძღვანელო მოსწავლესა და შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესში

სასწავლო პროცესში სახელმძღვანელოს ხარისხი რამდენიმე ათეული წელია საკამათო საგანია არა მხოლოდ პედაგოგიურ, არამედ ფართო საზოგადოებაში. საკამათოა შინაარსის სტრუქტურა, დიზაინი, სიმძიმე.

ალტერნატიული ვარიანტით სახელმძღვანელოს გამოცემა სხვადასხვა გამომცემლობა , გრიფის მინიჭება კამათის ფარგლებს გასცდა და ინტეგრირების სფეროში გადავიდა.

ამგვარი შეხედულება ჩამომიყალიბდა მას შემდეგ ,რაც ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებში გავეცანი, სასკოლო სახელმძღვანელოების მიმართ მოქმედი მასწავლებლის გამოცდილებას, ფსიქოლოგებს, პედიატრებსა და სხვადასხვა სტრუქტურის სპეციალისტების მოსაზრებებს.

ერთიანი დასკვნა ასეთია: სასკოლო სახელმძღვანელოები ვერც ძველი და ვერც ახალი 2018 წელს გამოცემული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ძველი და ახალი სახელმღვანელოების შედარებითმა ანალიზმა ცხადყო რომ ახალში შეცვლილა რამდენიმე თემა (ქართული II –IV კლასებში ) მათემატიკა უცვლელია და სხვა საგანიც. აღვნიშნავთ, რომ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ყველა სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი ერთმანეთს ეჯიბრებიან ცვლილება შეიტანონ I კლასის სახელმძღვანელოში „დედა ენაში“ შეცვალოს სახელწოდება და „დედა ენას“დაარქვას „ქართული“ ან „საკითხავი ტექსტები ქართულში“, ზოგიერთმა მთლიანად, ზოგიერთმა ნაწილობრივ ამოიღეს იაკობ გოგებაშვილის მეთოდიკა და მიდგომები და ჩაანაცვლეს მეთოდური გაუმართავი შინაარსით. იგი ხშირად გადმოთარგმნილია სხვა ენების პირველი კლასის სახელმძღვანელოებიდან და თან ცუდი თარგმანით.

სახელმძღვანეოს განახლებას მოითხოვს თავად იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც ამბობდა, რომ სასკოლო სახელმძღვანელო არის ეროვნული სასწავლო

გეგმის, გეგმაში შემავალი  საგნობრივი პროგრამის, საგნობრივი სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით შედგენილი წიგნი, რომელიც განკუთვნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების მისაღწევად და რომელსაც მინიჭებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების  ცენტრის მიერ სახელმძღვანელოს გრიფი.

სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების, სავარჯიშოებისა თუ ილუსტრირების გამოყენებით მასწავლებელი წარმართავს სასწავლო პროცესს საგნობრივი სტანდარტების  შედეგების მისაღწევად.

მასწავლებელი სახელმძღვანელოს აგებს მოსწავლეების საჭიროებისამებრ, შეუძლია არ გამიყენოს სახელმძღვანელოს რომელიმე ტექსტი ან აქტივობა, შეცვალოს დროის ხანგრძლივობა, რომელიც კონკრეტულ თემას უთმობს, დაამატოს საკუთარი აქტივობა და სხვა.

საქართველოს ყოველი სკოლის  პედაგოგიური საბჭო იძულებულია დაამტკიცოს იმ სახელმძღვანელოების ნუსხა, რომელსაც ამ სკოლის მასწავლებლები რეგურალურად იყენებენ სასწავლო პროცესში. სახელმძღვანელოების არჩევა და გამოყენება, თითოეული საგნიის მასწავლებლის დაფიქრება სჭირდება და ამასთან საჭიროა შემდეგი წესების დაცვა.

- თითოეული კლასის ყოველ განაყოფში ისწავლებოდეს ერთი სახელმძღვანელოთი.
- თითოეული სახელმძღვანელო გამოიყენებოდეს მინიმუმ სამი წელი.
- სახელმძღვანელოს შეცვლა წლის განმავლობაში დაუშვებელია.
- სახელმძღვანელოს  არჩევა  უნდა მოხდეს სკოლის კათედრის მიერ.
- სახელმძღვანელოს არჩევა უნდა მოხდეს მინიმუმ ერთი კვირით ადრე რადგან სახელმძღვანელო განვითარებას საჭიროებს.

იაკობ გოგებაშვილის მიერ  შედგენილ „დედა ენას “ ყველა გამოცემაში შეჰქონდა ცვლილებები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ანბანთა შესწავლის თანმიმდევრობა და

ტექტების შინაარსში : სიკეთეს, სიყვარულს, სამშობლოს ერთგულებას, წარსულისა და გეოგრაფიის ეთნოგრაფიის ამსახველი მასალები.

ახალ სახელმღვანელოში ჩემი მოსაზრებით გადატვირთულია აქტივობებით, მაგალითად ერთ ოთხს სტრიქონიან ლექს ან ორ გვერდიან ტექსტს ახლავს სამჯელ მეტი მოცულობის სხვადასხვა აქტივობები, თანაც ყველაფერი ერთ გვერდზეა შესასრულებელი და იკარგება თავად ტექსტის შინაარსი. ხშირად ეს დავალებები მსგავსია ან არაფრის მომცემია.

სასკოლო სახელმძღვანელოებს თან ახლავს „მასწავლებლის წიგნი" , რომლის ახალი გამოცემა შეუსაბამოა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისობასთან, მასში მოცემულია სანიმუშო გეგმები, რომელიც ვერ პასუხობს გაკვეთილის შეჯამებას სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებთან გათვალისწინებულ ვერც შიდა და ვერც გარე შეფასების რუბრიკის მოთხოვნებს. ამასთან შედგენის სტილი სხვაა. არაა რეკომენდებული გაკვეთილის გეგმაში (2018 წლის თებერვალი), მით უმეტეს შეუსაბამო იქნება 2018 წლის ნოემბრის რეკომენდებულ გეგმასთან, ორივე რეკომენდაცია მიწოდებულია საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ.

სასკოლო სახელმძღვანელოს ვარგისიანობის შესახებ დაფიქრებულია საქართველოს განათლების სამინისტრო და როგორც მინისტრის საჯარო განცხადებიდან ირკვევა მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა სახელმძღვანელოთა დამუშავების, ხშირ შემთხვევაში შეცვლის შესახებ.

ასეთ შემთხვევაში საჭიროდ მივიჩნიე, რომ კვლევაში ჩამერთო უახლესი საერთაშორისო კვლევის შედეგები, რომელიც მოიცავს პრობლემას, მოსწავლე მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პირობები. კვლევა ჩატარდა 2014 წელ2ს. მასში გამოყენებულია 2011-2012 წლებში ჩატარებული გამოკითხვები. კვლევის შედეგები საყურადღებო და გასათვალისწინებელია.

**გთავაზობთ ამონარიდებს კვლევის შედეგებიდან**

მრავალნი ეძიებენ პასუხს შეკითხვაზე, თუ რა მიზეზებმა განაპირობეს ზოგიერთი ქვეყნის განათლების სისტემის სწრაფი წინსვლა და შედეგების გაუმჯობესება და ამ მიზეზებს შორის ნაკლებად განიხილებოდა მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოების წვლილი. წარმატებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ (why texbooks count.A policy Paper. Tim Oates November 2014) წარმოაჩინა, თუ რამდენადაა დაკავშირებული კარგი სწავლება და მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგებსა და მათ ინტენსიურ გამოყენებასთან.

გამოკითხვის შედეგად TIMSS ფარგლებში გაირკვა, თუ რომელ ქვეყანაში როგორ იყენებენ სახელმძღვანელოებს - როგორც სწავლების საფუძველს თუ როგორც დამხმარე რესურსს სწავლებისთვის:

| **მოსწავლეთა პროცენტი, ვისი მასწავლებელიც სახელმძღვანელოს იყენებს** | **ქვეყნები** | | |
|---|---|---|---|
| | ინგლისი | სინგაპური | ფინეთი |
| მოსწავლეთა სახელმძღვანელოს, როგორც სწავლების საფუძველს | 10 | 70 | 95 |
| მოსწავლის სახელმძღვანელოს, როგორც დამხმარე რესურსს სწავლებისთვის | 64 | 23 | 3 |
| მოსწავლის ნაბეჭდ რვეულს, როგორც სწავლების საფუძველს | 11 | 71 | 37 |
| მოსწავლის ნაბეჭდ რვეულს, როგორც დამხმარე რესურს სწავლებისთვის | 78 | 29 | 61 |
| კონკრეტულ საგნებსა და მასალებს,როგორც სწავლების საფუძველს | 39 | 34 | 15 |

| | | | |
|---|---|---|---|
| კონკრეტულ საგნებსა და მასალებს,როგორც დამხმარე რესურსს სწავლებისთვის | 59 | 66 | 83 |
| ელექტრონულ მასალებს,როგორც სწავლების საფუძველს | 24 | 16 | 5 |
| ელექტრონულ მასალებს, როგორც დამხმარე რესურსს სწავლებისთვის | 74 | 80 | 69 |

ამ ამოცანებს შორის თვალშისაცემია ფინეთსა და სინგაპურში სახელმძღვანელოს, როგორც სწავლების საფუძვლის, გამოყენების მაღალი მაჩვენებელი და კონკრეტული საგნებისა და მასალების, აგრეთვე ელექტრონული მასალების , როგორც დამხმარე რესურსი გამოყენების მაღალი მაჩვენებელი.

**სახელმძღვანელოები შეიძლება სამ სახეობად დაიყოს: პირველი სახეობაა** ე.წ **„ტრადიციული“** სახელმძღვანელო ხშირად მარტივი და თვალისმომჭრელი , რომელიც შესანიშნავად წარმოაჩენს სფეციფიკურ საგნობრივ ცნებებსა და შინაარსს, თუმცა არ მოიცავს სწავლის სპეციფიკურ მოდელს ან მასალის წარმოდგენის სტრუქტურას .

**სახელმძღვანელოთა მეორე სახეობაში** თვალში საცემია სწავლის სპეციფიკური მოდელი- მაგ, მიმოხილვის ტიპის აქტივობები, რომელთა საშუალებით გაირკვევა რამდენად მზად არიან მოსწავლეები ახალი საკითხის ათვისებისთვის, ან ერთ სასწავლო ცნებაზე ფოკუსირებული შინაარსობრივი და შეფასებისათვის თუ გამეორებისათვის განკუთვნილი ბლოკები, ან ცოდნის გაფართოება /გაღრმავებისთვის საჭირო სავარჯიშოები .

**სახელმძღვანელოთა მესამე სახეობა** მეტისმეტად ინსტრუმენტულის-ძირიტადად მოიცავს საგამოცდო ინსტრუქციების ტიპის ტექსტებს, დასტრუქტურებულია საგამოცდო ტესტების სტრუქტურის შესაბამისად და გადატვირთულია გამოცდის ტიპის შეფასების საშუალებებით.

მაგალითად, საერთაშორისო შეფასებებში მოსწავლეთა შედეგების მიხედვით წარმატებული ქვეყნის მათემატიკის სახელმძღვანელოების ერთი თავის აგებულება ასეთია.

**ჰონკონგი-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელო შემადგენელი ელემენტები**

- წინარე ცოდნა და უნარჩვევები
- მიმოხილვის ტიპის აქტივობა , რომლის საშვალებით გაირკვევა-რამდენად მზად არის ახალი საკიტხის ათვისებისთვის
- წრეწირის განტოლების სხვადასხვა საკითხები
- წრეწირის თვისებები განტოლებების მიხედვით
- წრეწირის განტოლებები სხვადასხვა მოცემულობის შემთხვევაში
- წრეწირისა და წრფის თანაკვეთა
- ამოცანების ამოხსნა წრეწირის განტოლებებთან დაკავშირებით
- საკითხის ათვისების შემოწმება : 6 მატემატიკური ამოცანა , 1 დავალება შესრულების გაწაფულობაზე, 1 მათემატიკური ამოცანა საყოფაცხოვრებო კონტექსტიტ

**ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები**

- მოსწავლეთა მზაობის საფუძვლიანად შეფასება ყოველი საკითხის/თემის დასაწყისშივე
- უაღრესად ცხადი და გასაგები განსაზღვრებები ცნებისა თუ სხვა კონსტრუქტებისთვის
- საკითხის ძირითადი შემადგენელი კომპონენტების გააზრების შემოწმება
- სპირალური კურიკლარული მოდელი.

**სინგაპური-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელო შემადგენელი ელემენტები**

- თავის მიმოხილვა - გამოწვევის დანიშნულების მქონე ინფორმაცია ახალი ცნებებისა და იდეების შესახებ
- სწავლის სავარაუდო შედეგები
- დიაგრამების გამოყენება (ახსნა-განმარტებანი)
- ძირითადი იდეები-ცნებები/კონსტრუქციები-შენიშვნები მინდვრებზე-ფოკუსი ცნებებზე
- დამუშავებული მაგალითები
- იცოდით ეს? საინტერესო ფაქტები
- კალკულატორის გამოყენების ინსტრუქციები
- სავარგიშოები
- აქტივობა შესვენებისათვის/პაუზისათვის მეცადინეობაში
- საწერი დავალება მოსწავლის ჟურნალისათვის (ყოველდღიური ჩანაწერებისთვის)
- შეჯამება-რეზიუმე და მიმოხილვა
- გამეორების გვერდი
- მთავარი გვერდის გააზრების ათწუთიანი შემოწმება
- ცოდნის გამამდიდრებელი/გამღრმავებელი ინფორმაცია და სავარჯიშოები

**ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები**

- უაღრესად ცხადი და გასაგები განსაზღვრებები ცნებებისა და სხვა კონსტრუქტებისთვის
- ცნებებისა თუ სხვა კონსტრუქტებისმუდმივი განმტკიცება
- საკითხის კარგად დამუშავება განვრცობილი გამოყენებების საშვალებთ
- მოსწავლის რეფლექსია ჟურნალისათვის განკუთვნილი დავალების საშვალებით
- ძირითადი იდეების ათვისების შემოწმება
- გამოყენებებისა და გააზრების განვრცობა ცოდნის გამამდიდრებელი/გამაღრმავებელიკომპონენტების საშუალებით

მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურის სახელმძღვანელოები მაქსმალურად სტრუქტურირებულია და თითოეული კომპონენტის მასალა უკიდურესად დახვეწილია, მაინც დატოვებულია საკმარისი სივრცე მასწავლებლის პროფესიონალიზმის წარმოჩენისათვის: ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წაიკითხონ ტექსტები იქვე, გაკვეთილზე და ჯგუფური დისკუსია გამართონ ცნებების შესახებ; ზოგი მასწავლებელი ინდივიდუალურ საკითხავად აძლევს იგივე ტექსტს სახლში დავალებად და მხოლოდ მომდევნო გაკვეთილზე წარმართავს დისკუსიას მოსწავლეთა შორის; სხვები კი შეფასებაზე ამახვილებენ მოსწავლეთა ყურადღებას და ტექსტს უფრო მეტად იყენებენ გაკვეთილის დასტრუქტურებისთვის, ვიდრე მოსწავლეებისთვის ინსტრუქციების მისაცემად.

შანხაიში გაზიარებულია და განმტკიცებულია ჰონკონგისა და სინგაპურის გამოცდილება - სახელმძღვანელოები ფაქიზადაა დამოკიდებული პედაგოგიკასთან, მოიცავს გამოწვევის შემცველ შეკითხვებს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ჩაბმულობას სწავლის პროცესში; აქცენტი დასმულია მათემატიკური ცნებისა და მიმართების ღრმა გააზრებაზე, მათემატიკურ მოქმედებებში გაწაფულობასა და ამოცანების ამოხსნაში დახელოვნებაზე.

მართლზომიერად შერჩეული მაგალითებისა და ამოცანების საშუალებით სახელმღვანელო განაზღვრავს სასწავლო საკითხებისა და აქტივობების თანმიმდევრობასაც, მზარდი სირთულის სავარჯიშოების შესრულებასაც და უწყვეტ განმავითარებელ შეფასებასაც.

ამგვარი მიდგომის ფასეულობა ისაა, რომ:

- გაკვეთილის მომზადების სირთულე შემცირებულია.მასწავლებებს შესაძლებლობა აქვთ, რომ ყურადღება გაამახვილონ უფრო გაკვეთილის დახვეწაზზე, ვიდრე დიფერენცირებული მასალების შეთხზვაზე განსხვავებული თავისებურებების მქონე მოსწავლეთა ჯგუფებისათვის;
- ტექსტები ხელს უწყობს ეფექტურ კონცეფტუალურ წინსვლას საგნობრივ შინაარსში, ცხადად ასახავს სტანდარტის იდეებს და დასახავს საერთო

მოლოდინებს სწავლის შედეგების მიმართ - რომ უკლებლივ ყველა მოსწავლე გაიაზრებს შესასწავლ სფეციფიკურ ცნებებსა და მოქმედებებს.

- სახელმძღვანელოებმა უნდა მისცენ ცოდნის მაქსიმუმი მოსწავლეებს მასწაბლებლის საშუალებით - ესაა საზოგადოების მოთხოვნა, თუმცა საზოგადოება არაერთგვაროვანია და განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფებს სხვადასხვა მოთხოვნები აქვთ სახელმძღვანელოების მიმართ. ამიტომ საინტერესოა, მაინც რა ნიშნებით უნდა გამოირჩეოდეს თანამეროვე სახელმძღვანელო ისე, რომ მან დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებები ?

არსებობს არანაკლებ ინტერესთა ხუთი ჯგუფი, კერძოდ, მათემატიკური განათლების შემთხვევაში:

1. მოსწავლეები
2. მშობლები
3. მასწავლებლბი
4. განათლების სამინისტროს მუშაკები
5. სახელმძღვანელოს გამომცემლები

პირველი სამი ჯგუფის წარმომადგენლები ამ პროდუქტის მომხმარებლები არიან, ამიტომ უპირველეს ყოვლისა, მათი ინტერესებია გასათვალისწინებელი, ხოლო მათ შორის-ცხადია,მოსწავლეებისა.

მშობელთა კომენტარებს თუ დავეყრდნობით, ის მოსწავლეები, ვინც გაიგო სასწავლო მასალა და მასწავლებლის ინსტრუქციები, საერთოდ არ არიან მიდრეკილი, რომ სახლში ილაპარაკონ მათემატიკაზე ან მშობლებიც ჩართონ საშინაო დავალების შესრულებაში

ის მოსწავლეები კი, ვინც ვერ გაიგო საშინაო დავალება, სრულიად სხვანაირად იქცევიან სახლში. მათთვის დამახასიათებეი ქცევაა ისტერია, ბრაზი, ამბოხება,

დეპრესია და საგანში მეცადინეობის უგულებელყოფა .მათ მხლოდ ის თუ იციან (ისიც იშვიათ შემთხვევაში), თუ „რა სურს მასწავლებელს“

კერძოდ, მათემატიკის სწავლისადმი დამოკიდებულებას და ამ საგანში მოსწავლის წარმატებას განსაკუთრებულად განსაღვრავს ორი სპეციფიკური მომენტი: პირველი ისაა, რომ მათემატიკის სწავლის საწყის ეტაპზე რაიმე საკითხის ვერ გააზრებით შექმნილი სიცარიელე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს „ამოუვსებელი“, რადგან სიცარიელეზე ვერაფერს დააშენებ, ამიტომ სიცარიელე მისი იგნორირების შემთხვევაში არათუ შენარჩუნდება, არამედ კიდე სხვა სიცარიელბის წარმოქმნასაც უწყობს ხელს, ხარვეზები გროვდებ, ცოდნის „კედელი“ სულ უფრო და უფრო ფუტურო ხდება და აუცილებლად ჩამოიქცევა.

მეორე, მოსწავლეები ასაკის მიხედვით არიან კლასში გაერთიანებული და არა შესაძლებლობებისა თუ მზაობის მიხედვით, არადა ადრეულ ასაკში მოსწავლეთა ეს ორივე მახასიათებელი ძალიან ცვალებადია როგორც ბავშვიდან ბავშვამდე, ასევე ერთი ასაკიდან მეორემდე; ანუ, სხვანაირად, ერთ კლასში დაჯგუფებულ მოსწავლეთა საბაზო ცოდნა, განვითარების ტემპი და მასშტაბი საკმაოდ განსხვავებულია  და არათანაბრად იცვლება მათი ასაკის მატების კვალობაზე. შესაბამისად, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების (საჭიროებების, მზაობის დონის, ინტერესების, სასწავლო პროფილის) გათვალისწინების გარშე გარდაუვალია შეფერხებები და „სიცარიელეები“სასწავლო მასალის ერთ ტემპში, თანაბარი პორციებით მიწოდების შემთხვევაში.

ასეთ სახელმძღვანელოში „მოსწავლის წიგნში“ წარმოდგენილია სამიტივაციო დანიშნულებისა და შინაარსის მასალა (მაგალითად, უჩვეულო, პარადოქსული ფაქტები, რომლებიც გაკვირვებას იწვევს; სახალისო თამაშები და თავსატეხი სავარჯიშოები; ცოცხალი და კონკრეტული, მოსწავლის საყოფაცხოვრებო გამოცდილების ამსახველი მაგალითები, ცნობისმოყვარეობის გამღვივებელი და ინტერესის აღმძვრელი ნაატები, სქემები, ფოტოები და სხვა

თვალსაჩინო მასალა). მოსწავლის წიგნში გაკვეთილი/პარაგრაფის სტრუქტურაში გამოკვეთილია სწავლის სამოტივციო კომპონენტები: სწავლის მიზნები და სასურველი შედეგები, ახალი მასალის წარდგენამდე წინმსწრები შემამზადებელი აქტივობები, ათვისებული მასალის შეჯამებაზე და მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშიებით რეფლექსიაზე ორიენტირებულდავალებები, განმავითარებელი შეფასების (მათ შორის, მოსწავლის თვითშეფასების ) ხელშემწყობი დავალებები.

„მოსწავლის წიგნში“ წარმოდგენილია მოსწავლეთა ტიპური შეცდომები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, „ხარაჩოების“ მიწოდების (სკაფოლდინგის) საშუალებები და ხერხები მოსწავლეთა ცოდნაში ხარვეზების აღმოფხვრისთვის; ყოველი ახალი სასწავლო საკითხვისთვის განსაზღვრულია მოცემული საკითხი სწავლისთვის საჭირო წინარე ცოდნა და უნარჩვევები, მათი დიაგნოსტიკისთვის შესაფერისი აქტივობები, „მასწავლებლის წიგნში“ მოცემულია, აგრეთვე, აქტიივობები და სავარჯიშოები განსხვავებული საჭიროების მქონე (მზაობის, ინტერესების ან/და სასწავლო პროფილის მიხედვით) მოსწავლეებისთვის, რომლებიც სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის გამოყენებას უწყობს ხელს და მასწავლებელს დიფერენცირებული სწავლების საშუალებას აძლევს.

უახლესი კვლევის შეედგების მიხედვით არის წარმატებული გამოცდილება სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ, ამასთან შესწავლილია ის გამოცდილებაც, რაც არსებობდა ალტერნატიული სახელმძღვანელოების შექმნამდე. საფუძვლიანად არის შესწავლილი ალტერნატიული სახელმძღვანელოების მაჩვენებელი.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩავატარეთ გამოკვლევა. კვლევის მიზანი: მასწავლებელთა დამოკიდებულება ალტერნატიული სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ.

კვლევის სამიზნე ჯგუფი:დაწყებითი კლასების 25 მასწავლებელი (კონფიდენციალობა დაცულია).

კვლევის ჩატარების დრო: 2018 წლის ოქტომბერი

კვლევის მეთოდი: პედაგოგიური ესე „ალტერნატიული სახელმძღვანელო - ხელშემწყობი თუ პირიქით?“

კვლევის შედეგი: რესპოდენტთა 75 -მა აღნიშნა, რომ ალტერნატიულ სახელმძღვანელოში შემაფერხებელი უფროა, ვიდრე ხელშემწყობი.

უკეთეს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ერთნი ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ერთნი მასწავლებლის სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს, მაგრამ ხარისხიანი სახელმძღვანელო, ყოველგვარი ხარვეზის გარეშე და მისაწვდომი ფასით. ბიმედო ნებთ რომ სახელმძღვანელოებში იქნება უკეთესი ხარისხი.

უახლესი კვლევებიდან გამოვყოფთ ლიტვიის რესპუბლიკაში ჩატარებულ კვლევს, „რამდენად ეხმარება ბავშვს სკოლის სახელმძღვანელო სამუშაოს შემეცნებაში“. (2013 წლის) კვლევის შედეგებით აღინიშა, რომ ლიტვიის განათლების სფეროში ასახული ცვლილება აისახა სახელმძღვანელოების პრობლემაზე. „ერთი სახელმძღვანელოს პრინციპის“ ნაცვლად (რომელშიც მოცემულია ყველაფერი, რაც კი მოსწავლეს სწავლისთვის სჭირდება). სკოლაში შემოვიდა „რამდენიმე წლიანი სახელმძღვანელოს“პრინციპი. სახელმძღვანელოს კომპლექტებში შედის მოსწავლის წიგნი, სამუშაო რვეული და მასწავლებლის მეთოდური წიგნი.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი იყენებს არა წიგნებს, არამედ ელექტრონულ რესურსებს , ამიტომ გამომცემლობებმა გამოყვეს ელექტრონული წიგნების სამი სახხეობა: საკითხავი ტექსტები, რომელიც შინაარსის არსს პრაქტიკული ამოცანებით ხსნის, ტექსტები ფოტოებით ან დახატული სურათებით, ტექსტები სქემატური ვიზუალობით, შექმნილია საგანმანათლებლო პორტალები, ინტერაქტიული წიგნების სერიის საიტები.

საქართველოში გამოცემულია ლატვის გამოცდილება კერძოდ „ბუვი ისწავლე ხარისხით“ და „skool TM საქართველო“ ელექტრონული რესურსებია შექმნილი ქართველ მწერლებზე, ისტორიულ მობლენებზე და ა.შ

აღსანიშნავია, რომ ეკონომიურმა სიძნელეებმა ძვირადღირებულ საჭიროებად გახადა ელექტრონული რესურსების გამოყენება ლატვიაში და მით უმეტეს საართველოში. ამიტომ გაძლიერდა ყურადღება ბეჭდურ სახელმძღვანელოებზე.

ქართულ პედაგოგიურ მეცნიერეაში არაერთი სტატია დაიწერა, გამოითქვა შეხედულებები სახელმძღვანელოების მეთოდთა შესახებ. საბიბლიოთეკო კარტოჩკებში არ აღმოჩნდა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული ცალკე კვლევების ჩატარება ან ნაშრომი, მაგრამ ეს პრობლემა მეცნიერთ ნაშრომებშია ასახული, გავიზიარეთ აკადემიკოს ალექსანდრე გობრონიძის „პედაგოგიკაში" ჩართული მასალები, გთავაზობთ მის მოსაზრებებს.

დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა: რა სჭირდება საერათოდ მასწავლებელს, რომ მან კარგად ასწავლოს? ხშირად უყენებენ მოთხოვნებს მასწავლებელს, შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ მასწავლებლის მოთხოვნებიც.

მასწავლებელს ესჭიროება კარგი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, გონივრულად სედგენილი პროგრამები, უხვი და საქმიანი მეთოდიკური ლიტერატურა, ნათელი ღრმა, პედაგოგიური თეორია.

მასწავლებელს, როგორც ყველა ადამიანს, სჭირდება სოციალური სამართლიანობა, თავისი მძიმე შრომიათვის გასამრჯელო დამსახურებისამებრ, დატვირთვის პატიოსანი განაწილება, გაკვეთილების მოხერხებული ცხრილი და ხანდახან, რაც ყველლაზე მნიშვნელოვანია, თავისი შრომის გულმოდგინების, ცოდნისა და უნარის სამართლიანი შეფასება, აღიარება პედაგოგიურ საბჭოსა და კრებებზე, თვისთავად იგულისხმება, რომ მასწავლებელს აუცილებლად ესაჭიროება საყოფაცხოვრებო პირობები, რომ მან შეძლოს მშვიდათ მუშაობა და მთელი ყურადღება დაუთმოს ბავშვებს.

ყველაფერი აუცილებელი მასწავლებელს? მასწავლებლის შრომა ბავშვებთნ ურთიერთბა – შემოქმედებითი საქმეა. თავისი არსით იგი მოითხოვს გამხნევებას. შემოქმედება და გამხნევება განუყოფელია. მაგრამ მხოლოდ ყველაზე მტკიცე,

ყველაზე ნიჭიერ ხალხს შეუძლიათ იპოვონ თავიანთ თავში სიმხნევე, იმუშაონ მთელი ძალით საზოგადო მოშვებულების ვითარებაში.

იყო დრო ბავშვებს უწიგნოდ, ურვეულოდ და უფანქროდ ასწავლიდნენ, მუშაობდნენ ნავთის შუქზე, სიცივეში ვიწრო კლასებში, მუშაობდნენ სრულიად შეუფერებელ პირობებში და მაინც ასწავლიდნენ. მაგრამ სიმხნევის გარეშე მასწავლებელს მუშაობა არ შეუძლია.

გავიცნოთ, ახალი მიდგომა სასწავლო პროგრამისა და სახელმძღვანელების დამუშავებისადმი. განათლების შინაარსი წარმოდგენილია სასკოლო სახელმძღვანელოებში, ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად წყაროს საბაზისო ცოდნის მიღებასა და მოსწავლეთა დამოუკიდებელი სასწავლო შრომისათვის. სახელმღვანელოები განიხილება, როგორც ერთ-ერთი დიდაქტიკური საშუალება. მათ დონეზე, ინფორმაციის გადაცემის საშუალება, სავარჯიშოების შერჩევაზე დამოკიდებულია სახელმძღვანელოს დიდაქტიკური ფუნქცია. მეორე მხრივ მნიშვნელოვანია ვასწავლოთ მოსწავლეებს ისარგებლონ ამ საშუალებით. სახელმძღვანელოს გააჩნია მიზნები, რომელთა წარმატებით შესრულებაზე დამოკიდებულია სწავლების ხარისხი, ამ მიზნებს მიეკუთვნება: ცოდნის სისტემატიზაცია და განმტკიცება; თვითგანათლების ჩვევების ჩამოყალიბება; სწავლების მიმდინარეობისა და შედეგების შეფასება და ბოლოს კორექცია.

ამ ამოცანების გადაჭრის აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) მოტივაციური, რაც აისახება აღქმის ემოციურ - მოტივაციური სფეროს განვითარებაში;

ბ)საინფორმაციო, რომლის მეოხებითც ფართოვდება მოსწავლეთა ცოდნის მოცულობა;

გ) სავარჯიშო, ამ დროს ხდება თვითგანათლების ჩვევების ჩამოყალიბება.

სახელმძღვანელოს, ისევე როგორც ყოველ დიდაქტიკურ საშუალებას, წაეყენება მოთხოვნები რომლებიც ეხება მის სტრუქტურას შინაარსსა და ფორმას. აქვე მოვიყვანთ მოთხოვნებს, რომლებიც აღებულია იუნესკოს ანგარიშიდან (1989წ.)

ა) მეცნიერული სიზუსტე

ბ) ობიექტურობა

გ) ახალი დოკუმენტაციისა და მონაცემების გამოყენება

დ) ილუსტრაციების მაღალი ხარისხი მათი დამაჯერებლობა, შესასწავლ მასალასთან შესაბამისობა

ე) შინაარსიდან სხვა ხალხებისადმი აგდებული დამოკიდებულების გამორიცხვა.

უკანასკნელ დროს დაიწყო ახალი ტენდენცია სასწავლო პროგრამისადმი და სახელმძღვანელოების შემუშავებაში.

1) გამოჩნდა პროგრამებისა და სახელმძღვანელოების რამდენიმე ვარიანტი: სასინჯი,პარალელური, ვარიაციულ საბუნებისმეტყველო ციკლის მრავალ საგანში (ფიზიკაში, ბიოლოგიაში, ასტრონომიაში.).
2) დაიწყო განსხვავებული დონის სახელმძღვანელოთა დამუშავება სვადასხვა განვითარებისა და მომზადების მოსწავლეთათვის.

არის ცდები სახელმძღვანელოების სხვადასხვა ვარიანტის დამუშავებისა ჩვეულებრივი სკოლისათვის, სპეიალიზებული კლასებისათვის, ლიცეუმებისა და გიმნაზიებისათვის: ჰუმანიტარული პროფილის , მათემატიკური პროფილის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფილის.

3) მასწავლებლებს მიენიჭათ უფლება აირჩიონ სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლითაც მათ სურთ ამეცადინონ მოსწავლეები.

4) თვით მასწავლებელმა დაიწყო საავტორო პროგრამის სახელმძღვანელოს დამუშავება, როცა იგი გვევლინება ერთდროულად რამდენიმე როლში: ავტორის, ექსპერიმენტატორის, სახელმძღვანელოს შემმოწმებლის და პედაგოგის,იგი ახდენს სასწავლო პროცესის გარკვეულ პროგრესს (მაგალითად: ღებულობს საპრიზო ადგილებს კონკურსში მის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოები გეოგრაფიაში, ფიზიკაში და ა.შ.)

სახელმძღვანელო მოსწვლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესში, რაც იმას ნიშნავს , რომ აქ განხილულია თუ რა ძირითადი კრიტერიუმებია აუცილებელი სახელმძღვანელოს არჩევისას, რაც სამწუხაროდ საკამათო საკითხია არამხოლოდ პედაგოგიკაში , არამედ ფართო საზოგადოებაშიც რადგანაც როცა სახელმძღვანელოს ვირჩევთ უნდა გავითვალისწინოთ თითოეული დეტალი და ის მნიშვნელოვანი წინაპირობა რაც აუცილებელია სახლემძღვანელოს არჩევისას, რომ უფრო ხარისხიანი სახელმძღვანელოებით მვაწოდოთ ცოდნა მოსწავლეებს რომ კარგი შედეგიც მივიღოთ.

რასაკვირველია, რომ ჰქონდეს უფლება დაამუშაოს "თავისი" სასწავლო პროგრამა, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო ეს მოითხოვს მასწავლებლისაგან გარკვეული მომზადების დონეს და კვალიფიკაციას, მის შემოქმედებით განვითარებას.

## § 4 გაკვეთილის სასწავლო მიზნის განსაზღვრის პრობლემა

გაკვეთილის დაგეგმვა მოითხოვს სათანადო კომპეტენცის ფლობას გაკვეთილის დაგეგმვის პრობლემას განათლების მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ფართო კვლევისა და გამოცდილების გაზიარების საგანია . განსაკუთრებით გაზარდა ინტერესი ამ პრობლემისადმი ბოლო პერიოდში, როცა გაკვეთილის ჩატარება აუცილებელი აქტივობა გახდა , ყველა დონის სტატისტიკის მოსაპოვებლად. გამოქვეყნებულია

სტატიები, დაბეჭდილია გაკვეთილის გეგმის ნიმუშები,როგორც ელექტრონული ჟურნალი „განათლების მეცნიერებები“ ინტერნეტ გაზეთი „ახალი განათლება“ ჟურნალი „ნერგები“

წყაროების გაცნობამ ცხადყო, რომ გაკვეთილების გეგმები გამოყენებულია მეთოდური წიგნებიდან : „სასარგებლო რჩევები I და II ნაწილი“ , „ სამოდელო გაკვეთილები“

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ გაკვეთილის დაგეგმვისადმი მიდგომები მრავალფეროვანია და იგი უმეტესწილად დამოკიდებულია მასწავლებლის პროფესიულ უნარსა და შესაძლებლობებზე.

კვლევის პროცესები საჯაროდ მივიჩნიე , რომ მომეგროვებინა მონაცემები გაკვეთილის დაგეგმვის მოთხოვნებთან დაკავშირებით . ამ მიმართებით შევისწავლე მოსწავლეების პროფესიული სტანდარტის ზოგადი და საგნობრივი ნაწილი (2014) . მასწავლებლის საქმიანობის დაწყებას პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლის სქემას (2017)მოსწავლეების მიერ განხორციელებულიაქტივობების შესრულებას შეკრებას სტანდარტიზებულად. ინსტრუმენტული 2018 მასწავლებლის განათლებას მახასიათებლები (2017) და მათი ანალიზის საფუძველზე შევადგინე ჩამონათვალი იმ მოთხოვნების რომლებიც საჭიროა გაკვეთილის ჩატარებისთვის.

**I პოზიტიური გარემოს ფორმირება**

**ცოდნა**

- **იცნობს** სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის ძირითად პრინციპებს
- **იცის** როგორ შექმნას მოსწავლეებისთვის სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ -ემოციური და კოგნიტური.
- **იცის** როგორ შექმნას ინკლუზიური სწავლებისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო.
- **იცის** კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები.

- **იცის** სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ხელშემწყობი ძირითდი ფაქტორები და აცნობიერებს თნამშრომლობთი გარემოს მნიშვნელობას, საკუთრი პროფესიული განვითრებისა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

*პრაქტიკული უნარები*

- **შეუძლია** სექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის ინტეგრაციასა და მათ მოტივაციას.
- **შეუძლია** უსაფრთხო თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალურ - ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის.
- **შეუძლია** სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში, სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე.
- **შეუძლია** მოსწავლეებთნ, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებისთვის.

**II სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა**

**ცოდნა**

- **იცნობს** ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს (ე.ს.გ) ეროვნულ სასწავლო გეგმას.
- **იცის** ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტებზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა
- **იცის** საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენება.

- **იცის** პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.
- **იცნობს** მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ - ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს
- **იცის** სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენების პერსპექტივები.
- **იცის** მდგრადი განვითარების მიზნები და პრინციპები.
- **შეუძლია** ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ე.ს.გ. სკოლის პრიორიტეტისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება.
- **შეუძლია** გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტის და მათ შორის კავშირის გათვალისწინებით დაგეგმვისას შეუძლია შიდა საგნობრივი და საგანთაშორისი კავშირის გათვალისწინება.
- **შეუძლია** ხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობით სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.
- **შეუძლია** მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები ე.ს.გ. მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.
- **შეუძლია** პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტურად გამოყენება სასწავლო პროცესში.
- **შეუძლია** მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების ეფექტიანად შერჩევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით და მათი ინტერესების გათვალისწინებით.
- **შეულია** მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

- **შეუძლია** მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები.
- **შეუძლია** სწავლების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპებში სასწავლო თემებში ინტეგრირება.

**დამოკიდებულებები, ღირებულებები**

- **აცნობიერებს,** რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალიამ მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება.
- **სწამს** რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთაა მოტივაციის ზრდის, მის პიროვნულ კოგნიტურ განვითარებას, ასევე მათ ინტერვეციას სასკოლო საზოგადოებაში.

III **სასწავლო პროცესის შეფასება**

- **იცის** მოსწავლის შეფასება ე.ს.გ მიმართულებით
- **იცის** შეფასების ტიპები, პრინციპები, მეთოდები
- **იცი** როგორ გაანალიზოს შეფასების შედეგები
- **იცის** შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბრიკების შედგენის ძირითადი პრინციპები.

პრაქტიკული უნარები

- **შეუძლია** მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად.
- **შეუძლია** განმავითარბელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის.
- **შეუძლია** შეფასების სქემებისა და რუბრიკების შედგენა, მათზე დაყრდნობით ობიექტური შეფასება.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სასწავლო მიზნების გაანალიზება , სასწავლო მიზნები გამოხატავენ იმას რასაც უნდა მივაღწიოთ , ანუ რა ცოდნა უნარ - ჩვევები უნდა შევიძინოთმოსწავლეებმა განათლების

მუშაკისათვის განკუთვნილი ლექსიკონი (2017) სასწავლო მიზანი შემდეგნაირად არის განმარტებული: სასწავლო მიზანი არის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების , ერთობლიობა რომელიც უნდა მივაწოდოთ გაკვეთილის ბოლოს. სასწავლო მიზანი მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და იგი განსაზღვრავს გაკვეთილის სასწაავლო აქტივობის შინაარს.

გაკვეთილის მიზანი წარმოადგენს სპეციფიკურ , გაზომილ შედეგს. მიზანი შეიძლება იყოს რომელიც უნარ-ჩვევებს განუვითარებს. მაგალითად: კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება, გამჭოლ კომპეტენციებზე „სემიოტიკური წიგნიერება“ დაუფლება და სხვა.

სასწავლო მიზანი იწერება კონკრეტულად , მარტივად და რეალისტურად გაკვეთილების დასასრულს მოსწავლეებმა იციან, გაიგეს , ახსნიან, აღწერენ , შეადარებენ , შეაფასებენ, შექმნიან , გაანალიზებენ, პრობლემებს გადაჭრიან, შეაჯერებენ გამოიკვლევენ  და ა.შ

გაკვეთილების მიზანი ქმნის მოსწავლეების პროგრესის შემოწმებას, ასევე მასწავლებლის თვით შეფასების საფუძველს, ასევე გაკვეთილის მიზნებიდან შესაძლებელია მოსალოდნელი სასწავლო შედეგების განსაზღვრა.

გაკვეთილის შეფასების რუბრიკაში არის კრიტერიუმები: გაკვეთილის მიზნის სიცხადე და ადეკვატურობა , იგულისხმება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან შესაბამისობას. დაშვებულია პირობა:  ა) მასწავლებელი განუმარტავს მიზანს და აღწერს მას. ბ)ცხადად განუმარტავს მიზნის მონაცემებს, მაგრამ გაკვეთილის ბოლოს მიზანი მიხწეული არ არის. გ) მასწავლებელი არ განუმარტავს მიზანს , მაგრამ გაკვეთილი ისე წარიმართა რომ მიზანი მიხწეულია.

გაკვეთილის სასწავლო მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით ჩავატარე კვლევა.

კვლევის მიზანი: მასწავლებელთა დამიკიდებულება სასწავლო კვლევის ჩატარების დროს, მიზნის განსაზღვრასთან მიმართებაში.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: დაწყებითი კლასების 22 მასწავლებელი.

**კვლევის მეთოდი: დაკვირება**

კვლევის შედეგი: მასწავლებლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სასწავლო მიზნის განსაზღვრას, იგი მიაჩნიათ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად. იციან რომ სწორედ განსაზღვრული მიზანი გაკვეთილის წარმატებით ჩატარების მტავარი პირობაა.

სიძნელეს უქმნის სასწავლო მიზნისა და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირება. არც თუ იშვიათად ძნელდება , რადგან საგაკვეთილო თემა განსხვავებულ შედეგს მოითხოვს ვიდრე სასწავლო გეგმაშია. ან პირიქით გეგმის შესაფერისი შედეგების განსაზღვრაა ძნელი.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 რამდენჯელ აიოლებს სასწავლო მიზნისა და გეგმის სტანდარტებთან მიმართებაში შეთანხმებას. რადგან დამაკავშირებელი შეკითხვებიდა შესაბამისი აქტივობები მოცემულია.

დასაწყისისთვის

სწავლების პროცესში ვლინდება გაკვეთილი რამდენად სწორად არის დაგეგმილი. სწავლების პროცესთან დამაკაშირებელია შედეგი.

**შემეცნებითი სტრატეგიები-** პროცესები რომელსაც იყენებენ მოსწავლეები სწავლისათვის , ანუ ყურადღების მიქცევა , ფიქრი, დამახსოვრება და პრობლემების გადაჭრა .

**შემეცნებითი სტრატეგიაა-** ინფორმაციის მიღება კონცენტრაცია, ყურადღების მიქცევა არჩევისას. ინფორმაციის დამახსოვრება - შეგნებული ფიქრი და დამახსოვრება . შენახვა და გამოტანა -იყენებს ინფორმაციას

პრობლემების გადაჭრისათვის და სწავლობს , ადრე ნასწავლის გახსენება ( ხანგრძლივი მეხსიერება )

განწყობა-მოსწავლეების გრძნობები,რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული საგნის მოსწავლის ან სწავლის მეთოდების მიმართ.

სწავლა ორიენტირებულ ათვისებაზე (დამახსოვრებაზე)წარმოადგენს მოსწავლეებზე ორიენტირებულ მეთოდს,რომელსაც გვერდით აქვს ლექციის ფორმა

სწავლა ორიენტირებულ გამოჩენებზე-ამ მეთოდით მოსწავლეები თვითონ ეძებენ პასუხებს,რომლებიც უნდა მიეღღოთ მასწავლებლისგან.ისინი აკვირდებიან,აგროვებენ ინფორმაციას და იყენებენ სასწავლო პასუხის მიღებას.

აზრობრივი აქტივობა სწავლება - უკავშირდება მასწავლებლის ცოდნას , რეალურ სიტუაციებს, ზეპირად სწავლა.

განმტკიცება-წინა ცოდნის საფუძველზე მასალის უკეთ გაგება

სასწავლო მიზნების ჩამოყალიბების საფუძველია ეროვნული სასწავლო გეგმა.მიზნების შესაბამისად იგეგმება აქტივობები ამ პარაგრაფში განვიხილოთ სწავლებისა და სწავლის აქტივობების ჩამონათვალი და კატეგორია.მასწავლებელი მიზნის შესაბამისად არჩევს და გეგმავს აქტივობებს.

ჩნდება კითხვა-სახელმძღვანელოში ხომ არის მოცემული აქტივობები რაა საჭირო, განსხვავებულის ძიება და არჩევა?

ამ კითხვაზე პასუხისათვის საგაკვეტილო პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა რომ;ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების განსაზღვრა აუცილებელი საქმიანობაა,მისი მიღწევისათვის სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობა შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს კლასიის ყველა მოსწავლის შესაზლებლობებს,საჭიროებს გარკვეულ წილად შეცვლას.ამასთან დასაფიქსირებელია მოსწავლეების ცოდნისა და უნარების შესაძლებლობებისა და გამოცდილების პროფესიისათვის ხელშეწყობა.ამდენად სასწავლო მიზნის მისაღწევად

აქტივობების დაგეგმა რჩება მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაზე,იგი ფიქრის ძიებას,შედეგის მისაღწევი საქმიანობის განხორციელებას მოითხოვს და საამისოდ მისი კომენდაციები არის გზამკლევი ,ორიენტირი.კონკრეტულ ვითარებაში სასწავლო შედეგის მიღწევა მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობაზეა დამოკიდებული.

გაკვეტილიის დაგეგმისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანია,რომ მასწავლებელი ფლობდეს კლასის საჭიროებებს,მოსწავლეთა შესაძლებლობებს,წს საკითხი კვლავ კვლევის საგანია და ამოტომ მხოლოდ ზოგადი მოწერთ შემოვიფარგლებით.

გაკვეთილის ორგანიზაციის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკიტხია სწავლებისა და სწავლის მეთოდების შერჩევა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნით მასწავლებლები ირჩევენ სწავლებისა და სწავლის ისეთ მეთოდებს,რომლებიც უკეთ შეესბამება მოსწავლესა და საგნობრივ პროგრამებს.მეთოდების ჩამონათვალი ძალიან ბევრია

,არის შემთხვევები ,როცა შეიძლება მეთოდი ვის დააკისროს სტადეგიიის ფუნქციაც/ეს იმ შემთხვევაში როცა იგი გამოყენებულია მიზნით რა გავაკეთოთ?

სწავლების მეთოდი არის მასალის მიწოდების სისტემური გზა,გეგმა,ტექნიკა. მასწავლებელი იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რათა მოახდინოს სასწავლო პროცესის წარმართვა. მეთოდები მრავალფეროვანია: მეთოდების კლასიფიკაცია და გამოყენება რთული და ცალკე განხილვის საგანია, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მეთოდების ჩამონათვალი მრავალფეროვანია და შემოგთავაზებთ:

გავიხსენოთ სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელთაც გვთავაზობს ტრადიციული და აინოვაციო ტექნოლოგიები:

ასოციაციური რუკა

პრიორიტტეტების ტექნიკის შემუშავება.

სოციოდრამა, როლები თამაში

ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფებში მუშაობა.

პრობლემების დაყენება, გადაწყვეტა.

წარმოდგენითი თამაშობები, ასოციაციური რუკა

ურთიერთსწავლება

კითხვებით საკიტხის წვდომა

ინტერვიუ. დებატები.

იმიცირებული წარმოდგენები.

პროექტის შექმნა.

წერილის შედგენა.

თხზულების დაწერა.

თხზულების დაწერა.

თავისუფალი წერა.წინადადების ჩამოყალიბება

შეფასება ტესტირებით

ღია და დახურული შეკითხვები

სიტუაციური ამოცანა.

დაუსრულებელი ისტორია.

ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე.

დიაგრამა,

საკლასო დისკუსია

დისკუსია

მოლოდინი

ფოკუსირებადი შეკითთხვები

დაფიქრდით, დაწყვილდით, აზრი ერთმანეთს გაუზიარეთ.

კლასტერი/აბლაბუდა.

ტერმინები წინასწარ.

გრაფიკული ორგანიზატორები.

ჰკითხეთ ავტორს

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური.

მოზაიკა 1 , მოზაიკა 2.

ერთობლივი ძიება.

ჯვარედინი დისკუსია.

ათწუთიანი ესეე.

„დამიტოვეთ სათქმელი“.

წყაროებზე მუშაობა.

სამსაფეხურიანი ინტერ ვიუ

წერა თავისუფალ თემაზე

განსაზღვრებანი, კომენტარი.

დავალებები კითხვაში.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩავატარე პრაქტიკანტ სტუდენტებთან საქმიანი შეხვედრა. შემოგთავაზებთ ამ შეხვედრის ფრაგმენტებს.

**სამუშაო ფურცელი 1**

**პრობლემა დიალოგისათვის :** რაში სჭირდება საგნის მასწავლებელს აქტიური სწავლების მეთოდების ცოდნა.

**სამუშაო ფურცელი 2**

**გთხოვთ წაიკითხოთ და გააკეთოთ კომენტარი**

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების მიხედვით მასწავლებლები მიზანმიმართულად არჩევენ სწავლებისა და სწავლის ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც უკეთ შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის საჭიროებას და საგნობრივი პროგრამების მოთხოვნებს

უნარი შესწევთ შეაფასონ და დაასაბუთონ მათ მიერ გამოყენებული სწავლების მიდგომები, განსაზღვრონ მათი გავლენა მოსწავლეთა სწავლაზე და საჭიროებების შემთხვევაში იზრუნონ მისი მიდგომების გაუმჯობესებისათვის.

**სამუშაო ფურცელი 3**

მოსწავლეთა შესაძლებლობების განსაზღვრიათვის შეიძლება გამოვიყენოთ გრაფიკი, რომელსაც შესავსებად შემოგთავაზებთ. წარმოიდგინეთ, რომ ხართ VII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. თქვენი აზრით, რა არის

თქვენი მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები გაკვეთილზე? სავარაუდო მონაცემები ჩამოვწეროთ გრაფებში.

| **ძლიერი მხარეები** | **სუსტი მხარეები** |
|---|---|
| | |
| | |
| | |

**სამუშაო ფურცელი 4**

**თემა ლექციაზე დებატებისათვის:** შეიძლება თუ არა დაიძლიოს მოსწავლეთა სუსტი მხარეები მრავალფეროვანი სტრატეგიების მიზნობრივი შერჩევით?

პრეზენტაციისათვის დრო ...წუთი.

**სამუშაო ფურცელი 5**

**ინფორმაცა**, განვიხილოთ **აქტიური სავარჯიშოების** როლი და მათი გამოყენება

**გაკვეთილის დაკვირვების სქემა**

| კრიტერიუმები და მახასიათებლები | სრულად | ნაწილობრივ | არა |
|---|---|---|---|
| **გაკვეთილის ჩატარების გარე პირობები** | | | |
| აღჭურვილობა, რესურსები (მერხები, ტექნიკა და ა.შ ) შეესაბამება გაკვეთილის მიზანს | | | |
| გაკვეთილი დაიწყო ზარის დარეკვისთანავე | | | |
| საკლასო ოთახი წესრიგშია. | | | |
| **მიზნების ჩამოყალიბება** | | | |
| გაკვეთილის დასაწყისში მითითებულია მიზნები. | | | |
| გაკვეთილის დასაწყისი აღძრავს მოსწავლეთა ინტერესს. | | | |
| მასწავლებელი ხსნის შესასწავლი თემის მნიშვნელობას/ღირებულებას. | | | |
| **მოსწავლეთა ინტერესის სტიმულირება** | | | |
| იყენებს საინტერესო ფაქტებს, მაგალითებს. | | | |
| სვამს პრობლემურ კითხვებს / საკითხებს . | | | |
| იყენებს მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას. | | | |
| **მასალის მეთოდური დამუშავება** | | | |
| იცავს ლოგიკურ თანმიმდევრობას | | | |
| გამოყენებული ცნებები და ტერმინები ზუსტი და მისაწვდომია. | | | |
| გამოყოფს საკვანძო საკითხებს და აჯამებს (აჯამებს თავად მოსწავლეებთან ერთად ან აჯამებინებს მოსწავლეებს). | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მასალის შესაბამისობა მოსწავლეთა თავისებურებებსა და საჭიროებებთან** | | | |
| გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. | | | |
| გათვალისწინებულია არსებული ცოდნა და გამოცდილება. | | | |
| გათვალისწინებულია ინდივიდუალური თავისებურებები. | | | |
| **ადეკვატური უკუკავშირი** | | | |
| მოსწავლეთა შეკითხვები არ რჩება უპასუხოდ (ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავად მასწავლებელი უპასუხებს ყველა შეკითხვას.) | | | |
| ახალისებს მოსწავლეთა იდეების გენერირების პროცესს. | | | |
| უყურადღებოდ არ რჩება და მუშავდება მოსწავლეთა იდეები და მოსაზრებები. | | | |
| **მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციის უზრუნველყოფა** | | | |
| იყენებს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციის ეფექტურ ხერხებს. | | | |
| ითვალისწინებს ყურადღების კონცენტრაციის  ასაკობრივ თავისებურებებს. | | | |
| ითვალისწინებს ყურადღების კონცენტრაციის ინდივიდუალურ თავისებურებებს.. | | | |
| **მოსწავლეთა წარმოსახვის ხელშეწყობა** | | | |
| ქმნის შემოქმედებით ატმოსფეროს. | | | |
| ითვალისწინებს წარმოსახვის ასაკობრივ | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თავისებურებებს. | | | |
| ითვალისწინებს წარმოსახვის ინდივიდუალურ თავისებურებებს. | | | |
| **ურთიერთობები გაკვეთილზე** | | | |
| ურთიერობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პარტნიორულია. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა და წახალისებულია ურთიერთდახმარება. | | | |
| გამოყენებულია ჯგუფური / წყვილებში მუშაობა. | | | |
| შექმნილია დისკუსირების, აზრთა გაცვლა - გამოოცვლის ატმოსფერო. | | | |
| **მოსწავლეთა აქტიურობა გაკვეთილზე** | | | |
| მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის ყველა ინსტრუქციას. | | | |
| მოსწავლეებს აინტერესებთ საკითხი და სვამენ შეკიტხვებს. | | | |
| მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საკითხის განხილვაში. უპასუხებენ შეკითხებს / ეძებენ პასუხს შეკითხვებზე. | | | |
| **არჩევანის შესაძლებლობა** | | | |
| აძლევს არჩევანის შესაძლებლობას სხვადასხვა დონის / სახის დავალებების შესასრულებლად. | | | |
| აძლევს სტრატეგიების არჩეანის თავისუფებას. | | | |
| **სააზროვნო უნარების განვითარება** | | | |
| იყენებს მაღალი დონის სააზრვნო უნარების | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| განვიტარებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს / დავალებებს. | | | |
| აქვს მომზადებული დიფერენცირებულიდავალებები (მაგალითად ძალიან სუსტი და ძალიან ძლიერი მოსწავლეებისათვის). | | | |
| **მოსწავლეთა შეფასება** | | | |
| მოსწავლეთა ყველა პასუხი ფასდება (თუნდაც სიტყვიერად). | | | |
| შეცდომებზე რეაგირება კორექტულია. | | | |
| წახალისებულია თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. | | | |
| **ეფექტური კომუნიკაცია** | | | |
| საუბრობს გარკვევით, შესაბამისი ტემპითა და ტემბრით. | | | |
| აქვს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტი. | | | |
| ადეკვატურად იყენებს ჟესტებსა და მიმიკას. | | | |
| **კლასის მართვა** | | | |
| ადეკვატურად რეაგირებს წესრიგის დარღვევის ფაქტებზე. | | | |
| მოსწავლეები იშვიათად ან სულ არ არღვევენდისციპლინას / დისციპლინა თვითრეგურილებადია. | | | |
| **დამკვირვებლის კომენტარეი:** სასწავლოო პროცესის დაგეგმვა არის გრძელვადიანი და მოკლევადიანი, შევიმუშავეთ გრძელვადიანი დაგეგმვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. | | | |

სამუშაო შეხვედრა ეფექტური გამოდგა, მასალები სტუდენტებმა გამოიყენეს პრაქტიკის პერიოდში. იგი მხარდაჭერილი იქნა პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლებისაგან. თემატური კალენდარული გეგმების შედგენა მნიშვნელოვანია წარმატებული შედეგისათვის, მისი მიზანია: საგნის სწავლებისადმი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება და საგნის სწავლების განვიტარების წინაპირობის შექმნა

**პრიორიტეტული მიმართულებები**

- მისახწევი შედეგის ანუ იმ ცოდნის და იმ უნარ-ჩვევების განსაზღვრა, რომელსაც უზრუნველყოფს საგნის სწავლება.
- შეფასების მრავალფეროვანი და მრავალმხრი მეთოდების და ფორმების გამოყენება.
- მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის შედეგებით ბედნიერების განცდა.
- მშობლის და მასწავლებლისათვის გაცნობა იმისა , თუ რა და როგორ ისწავლოს მოსწავლემ, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს.

1. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზემოსწავლეების გამოცდილებით
. გამდიდრება .
2. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოტხოვნების ასახვა.
3. დამწყები მასწავლებლებისათვის გეგმის ვრცელი ვარიანტის შემუშავება.
4. გეგმის კომპონენტები.

- სასწავლო მიზანი
- ამოცანები
- წლის ან სემესტრის ბოლოს მისახწევი შედეგი და განსავითარებელი კომპეტენციები .

- განსახილველი თემები
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები
- შეფასების მეთოდები და ფორმები

ამრიგად როგორც ვიცით გაკვეთილის დაგეგმვისადმი მიდგომები მრავალფეროვანია და იგი უმეტესწილად დამოკიდებულია მასწავლებლის პროფესიულ უნარსა და შესაძლებლობაზე . სწორედ ამ თავშია განხილული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის რა არის მნიშვნელოვანი და რა მზნებს ემსახურება , როგორ იწერება სასწავლო მიზანი და რა შედეგამდე მივყავართ მოსწავლეებში. აქვე არის მითითებული სასწავლო მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევა და არის განხილული : კვლევის მიზანი, კვლევის სამიზნე ჯგუფი , კვლევის მეთოდი, კვლევის შედეგი.

## § 5 სასწავლო აქტოვობების დაგეგმვა გაკვეთილებზე.

გაკვეთილის აქტივობა არის მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების ის ქმედებები , რომლებიც სასწავლო მიზნის მიღწევას ემსახურება მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელმა შეიძლება დაგეგმოს ერთი ან რამოდენიმე აქტივობა მათი ჩატარების თანმიმდევრობა ისე უნდა დაიგეგმოს , რომ შენარჩუნდეს მათი ინტერესები და მოტივაცია . მნიშვნელოვანია რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს თუ კონკრეტულად რის გაკეთება მოეთხოვებათ მოსწავლეებს და რა როლი უნდა შეასრულოს მან მთლიანად ამ

პროცესში, ამასთან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნა , უნარები, შესაძლებლობები და გამოცდილება (ლექსიკონი განათლების გეგმისთვის 2007 : 25)

აქტივობები მიუგებს კითხვაზე რას ვაკეთებ ? ამით იგი განსხვავდება მეთოდისაგან - როგორ ვაკეთებ ? თუმცა არც თუ იშვიათად აქტივობასა და მეთოდს შორის განსხვავება ძნელად გასარჩევია , ამის მიზეზი არის ის , რომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც აქტივობა და როგორც მეთოდი, იმის მიხედვით თუ რა მიზნით ვიყენებთ მას .

სასწვლო აქტივობების ჩამონათვალი მრავალფეროვანია, ნაშრომში ჩასართავად ავირჩიეთ ორი ვარიანტი ერთი სიის სახით ერთი სქემის სახით ,

**აქტივობების ჩამონათვალის სია**

თვალსაჩინოების დემონსტრირება

მასწავლებლის პრეზენტაცია

მოსწავლის პრეზენტაცია

დისკუსიის ორგანიზება

როლებში თამაში

სიტვაციური ამოცანის ამოხსნა

გრამა მცირე თეატრალური წარმოდგენა

ლექსისა და სიმღერების გამოყენება

სავარჯიშოები

შეკითხვები და პასუხები

პროექტზე მუშაობა

ჩანაწერი ბლოკნოტში

ილუსტრაციის აღწერა

ელექტრონული რსურსის მომარაგება და ჩვენება

საკლასო დავალებების შესრულება ინდივიდულაური, წყვლებში , ჯგუფებში.

საკუთარი დამოკიდებულების გამოთქმისთვის მონაცემთა შეგროვება .

კრიტიკული შეხედულების ჩამოყალიბებისთვის არგუმენტების მიწოდება

საკუტარი სწავლის პროცესი დაგეგმვა მოტორულ სიტვაციებში.

სასწავლო საშვალებების სახელმძღვანელო (რესურსების) ეფექტური გამოყენება ‘

ვიქტორინა

ვიქტორინა კონკურსი

მეთოდის შერჩევა თავისუფალი არჩევანი

თვით შეფასების სქემაზე ან ცხრილზე მუშაობა

დაკვირვება საკუთარ და სხვის საქმიანობის პროცესზე (მონიტორინგი)

დადებითი ემოციური განწყობის შექმნა

შეკითხვის მომზადება მასწავლებლისთვის

შეკითხვის მომზადება მეგობრისათვის

შეკითხვის მომზადება ავტორისათვის

მსჯელობისათვის პრობლემის შერჩევა

ერთ წინადადებიანი რეზიუმეს მომზადება

წერითი სამუშაოს შესრულება სხვადასხვა ფორმი: თეზისის მოძიება , ესეს დაწერა, გეგმის შედგენა ,ამონარიდის ჩაწერა დ სხვა .

დავალების მომზადება სხვადასხვა ფორმით ( თხრობა , დაწერა, შთაბეჭდილების გადმოცემა , სტროფის წაკითხვა და სხვა)

ტესტების შევსების ორგანიზება

შერჩეული სტრატეგის , მეთოდის მიზნის მიღწევის შესაბამისი აქტივობების არჩევა საჭიროების მიხედვით.






**სწავლებისა და სწავლის აქტივობები იყოფა ხუთ კატეგორიად ესენია**

- **მზარდი**-რომლის საშუალებითაც მოსწავლე დავალების შესრულების პროცესში იძენს ახალ იდეებს , კონცებციებსა და უნარ-ჩვევებს.
- **რესტრუქტურიზებადი**- რომელიც მოითხოვს მოსწავლეებისგან წინასწარ შეძენილ უნარ- ჩვევებს და ცოდნაზე გააკეთონ აღმოჩენები.
- **ცოდნის გამოსაცდელი**-უკვე ნაცნობი იდეების , კონცებციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება ახალ სიტუაციაში პრობლემის გადასაჭრელად
- **პრაქტიკაზე დამყარებული**-პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით ნაცნობი იდეების , კონცებციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამტკიცება .
- **განმეორებაზე დამყარებული**- ნაცნობი იდეების , კონცებციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმეორება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ

**აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა**

ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართება , როცა აქტივობები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს, ამ შემთხვევაში მოსწავლეებს არ უჭირთ ერთი აქტივობიდან მეორეზე გდართვა , მასწავლებლის ინსტრუქციებით შედარებით მარტივია და ნაკლებ დროს მოითხოვს . კარგად დაგეგმილ გაკვეთილზეც კლასის

ორგანიზების საკითხები გარკვეულ დროს მოითხოვს . მაგალითად კლასმა დაასრულა დამოუკიდებელი სამუშაო და შემდეგი აქტივობა ჯგუფურ მუშაობას ითვალისწინებს .ეს თავისთავად გულისხმობს მოსწავლეთა მოძრაობას , შესაძლებელია სკამების გადაადგილებაც. თუ რეალურად ამ საქმიანობას 1-2 წუთი სჭირდება , მოსწავლეებმა შეიძლება ამას გაცილებით მეტი დრო მოანდომონ . ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა შეიძლება

### ა) რეკომენდაციების ერთ-ერთი ვარიანტი

- მივცეთ ნათელი ინსტრუქცია და აუცილებლად განვსაზღვროთ დრო, რასაც ვაძლევთ მათ ყველა საჭირო პროცედურის შესასრულებლად;
- უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას თუ სად იმყოფება ამ პერიოდში მასწავლებელი. იგი ფეხზე უნდა იყოს და აკონტროლებდეს , რას აკეთებენ მოსწავლეები. მასწავლებლის აქტიური ყურადღება ყველაზე ეფექტური საშუალებაა დროის უსარგებლოდ ხარჯვის წინააღმდეგ;
- ამ დროს არ არის სასურველი, პასუხი გავცეთ მოსწავლეთა შეკითხვებს (მაგ. წინა ან ახალ დავალებებთან დაკავშირებით) რადგან გარდამავალი ეტაპი, მართვის თვალსაზრისით , ერთ -ერთი ყველაზე რთული მომენტია და ამ დროს ყურადღება წარმოქმნილი სირთულეების სწრაფად მოგვარებაზე უნდა იყოს ფოკუსირებული. შეკითხვებზე პასუხი, უმჯობესია, იმ მომენტისთვის გადავდოთ, როცა მოსწავლეები მზად არიან მოსასმენად .

### ბ) რეკომენდაციები- სხვადასხვა ვარიანტები

წინასწარ მომზადდეს გარემო ინდივიდუალურ და ჯგუფური სამუსაოსთვის .

მასწავლებელმა მკაფიოდ გამოხატოს ( მადლობით , წახალისებით და სხვა )

ერთი აქტოვობის დამთავრება . განაცხადოს ახალი აქტივობის დაწყება მასწავლებელი აკონტროლებს რას აკეთებენ მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევასი ეხმარება , თვალს ადევნებს ახალი აქტივობის შესრულების დროს წარმოქმნილ სრთულეებს და ზრუნავს მის სწრაფ მოგვარებაზე

მასწავლებელი არ პასუხობს შეკითხვებს წინა აქტივობასთან დაკავშირებით თუ იგი არ ეხება ახალი აქტივობის შესრულებას და მოსწავლეს ხმადაბლა აუხსნის , რომ ამ კითხვაზე უპასუხებს მოგვიანებით.

### გ) რეკომენდაციები აქტივობის შესრულებისათვის

აქტივობის შესრულებისთვის საჭიროა , ნათელი  გასაგები ინსტრუქცია . საურველია ინსტრუქცია დაწერილი იყოს სამუშაო ბარათებზე, მოიცავდეს შესრულების მიზანს , შედეგს.

აუცილებელია აქტივობის შესრულების დროის განსაზღვრა. და მისი დაყოფა . შესაძლებელია დროის დაცვა გათვალისწინებული იქნას შეფასების კრიტერიუმები. აქტივობის შესრულების დროის გასვლის შესახებ მოსწავლე წარმოადგენს სესრულებულ სამუშაოს.

აქტივობის შესრულება ხდება სქემით, რუბრიკით ( ქულებით განსაზღვრული) ან სიტყვებით: რჩევა , წახალისება , კომენტარი , ინსტრუქტაჟი (განმავითარებელი)

აქტივობის შეფასების სქემა ან რუბრიკა მოსწავლისთვის ცნობილი უნდა იყოს აქტივობის შესრულებამდე.  აქტივობის შეფასებისთვის გამოიყენება : შეფასება მასწავლებლისგან, შეფასება -თანაშეფასება ( მასწვლებელი-მოსწავლე, შეფასება -თანაშეფასება- თვითშეფასება , მასწავლებელი, მოპაუხე მოსწავლეს -სხვა მოსწავლე).

შეფასებები ყველასათვის საერთოა .

**დ) რეკომენდაცია გაკვეთილის ელემენტებთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობების შერჩევისათვის**

| **გაკვეთილის მნიშვნელოვანი ელემენტები.** | **სასწავლო აქტივობა** |
|---|---|
| ვერბალური ინფორმაცია | • ისტორიების მოყოლა<br>• დრამა<br>• ლექსები<br>• სიმღერები |
| სწავლების ვიზუალიზაცია | • სურათები<br>• მოდელები<br>• თვალსაჩინო მასალები |
| სავარჯიშოები | • ექსპერიმენტები<br>• დემონსტრაციები<br>• თამაშები |
| დისკუსია - მასწავლებელსა და მოსწავლეებს, მოსწავლეებს შორის | • კითხვა - პასუხი<br>• წყვილებში მუშაობა<br>• ჯგუფებში მუშაობა<br>• პროექტები |
| ფიქრი და აზროვნება | • საკლასო ან ჯგუფური დისკუსიები<br>• ამოცანები<br>• პრობლემების გადაჭრის სავარჯიშოები |

## ჩავატარე კვლევა :

კვლევის მიზანი : სასწავლო აქტივობების გამოყენების სიხშირის დადგენა.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: დაწყებითი კლასის 40 მასწავლებელი - ინტერნეტ გაამოკითხვა სურვილით.

კვლევის ჩატარების დრო : 2018 წლის ოქტომბერი.

კვლევის მეთოდი - ცხრილის ანალიზი

რესპოდენტებს შევთავაზეთ მოცემული ცხრილი, ცხრილში შეტანილი ჩამონათვალი ავირჩიოთ პრიორიტეტის მინიჭებით, რომელიც განსახორციელებელია ფოკუსის ჯგუფში.

| **რა სიხშირით იყენებთ თითოეულ ამ აქტივობას?** | **რეგურალურად- ხშირად - იშვიათად- არასოდეს** | **რომელ საგანში იყენებთ ყველაზე ხშირად?** |
|---|---|---|
| დემონსტრირება, პრეზენტაცია | | |
| მსჯელობა | | |
| როლების თამაში | | |
| თვითშეფასება | | |
| თამაშები და სიტუაციური ამოცანები | | |
| დრამა | | |

| | | |
|---|---|---|
| ისტორიის მოყოლა | | |
| ერთი და იგივეს გამეორებით სწავლება | | |
| ლექსების და სიმღერების გამოყენება სავარჯიშოებში | | |
| კითხვები და პასუხები | | |
| პროექტზე მუშაობა | | |
| ბუნებაში სწავლა | | |
| ცნობილი პიროვნების მიერ ლექციის ჩატარება | | |
| დაგეგმითი განწყობის შექმნა | | |
| ელექტრონული რესურსების გამოყენება | | |

კვლევის შედეგები : კვლევის შედეგების მიხედვით მასწავლებელთა მიერ ხშირად გმოიყენება აქტივობები : კითხვები და პსუხები, როლებში თამაშები, პრეზენტაცია მსჯელობა,პროექტზე მუშაობა დაგეგმითი განწყობის შექმნა, ელექტრონული რესურსების გამოყენება, თამაშები და სიტუაციური ამოცანები.

ყველაზე ნაკლებ რეიტინგული აღმოჩნდა - ისტორიის მოყოლა, ცნობილი ადამიანის მიერ ლექციის ჩატარება, ბუნებაში სწავლა.

საგნების მიხედვით თითქმის თანაბარია : ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება.

შედეგების გაცნობის შემდეგ რესპოდენტებმა ეს შედეგი იმით ახსნეს, რომ ბუნებაში გასვლის შესაძლებლობა არა აქვთ, თუმცა განაცხადეს, რომ შედეგებმა დააფიქრეს და ამ მიმართბით თავიანთ მუშაობას გააუმჯობესებენ.

კვლევის შედეგებით : ა) მასწავლებლები აქტივობების მრავალფეროვნებას სრულყოფილდ არ იცნობენ და საჭიროებენ ამ მიმარტებით მეთოდურ დახმარებას.

ბ) მასწავლებლები ყველა გაკვთილზე იყენებენ გარკვეული სახის აქტივობას , იგი ხშირად ერთი და იგივეა, მაგრამ სწავლით მრავალფეროვანია.

სასწავლო აქტივობების დაგეგმვა არც თუ ისეთი ადვილი დასაგეგმია რადგანაც აუცილებელია შენარჩუნდეს მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია , მნიშვნელოვანია რომ მასწავლებემა გაითვალისწინოს , თუ კონკრეტულად რისი გაკეთება მოეთხოვება მოსწავლეებს და რა როლი უნდა შეასრულოს მან მთლიანად ამ პროცესში, ამასთან გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა და გამოცდილება. აქვე მოცემულია რომ სწავლებისა და სწავლის აქტივობები იყოფა ხუთ კატეგორიად , ასევე გასათვალისწნებელია ის რომ აქტივობიდან აქტივობაზე გდასვლა უმტკივნეულოდ უნდა წარიმართოს, აქვე არის მოცემული კვლევების შედეგები თუ მასწავლებლების უმეტესი ნაწილი რომელ აქტივობას ანიჭებს უპირატესობას...

## თავი მეორე  გაკვეთილის დაგეგმვის გამოცდილება

### § 6 წარმატებული გამოცდილების ნიმუშები

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში შევისწავლე  მასწავლებელთა გამოცდილება გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებით. შევაგროვე ძალიან  საინტერესო  და მრავალფეროვანი მასალა . მათგან შევარჩიე რამდენიმე.

# გაკვეთილის გეგმა (2019)

**მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი:** ხატია ზოსიძე , 26001036717

**საგანი :** ქართული ენა და ლიტერატურა

**სწავლების საფეხური / კლასი:** IV

**მოსწავლეთა რაოდენობა:** 5

**გაკვეთილის თემა :** სწორ - მრუდის მაკრატელი.

| N | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსი | დრო (წუთი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აქტივობა** I<br>წინა გაკვეთილის გამოკითვა კითხვების საშუალებით | მოსწავლების შეფასება ,თუ რამდენად გაიგეს წინა მასალა | საერთო საკლასო | წიგნი | 2(წთ) |
| 2 | **აქტივობა** II<br>სათაურის ირგვლივ მსჯელობა | მოსწავლეების უნარის შემოწმება | საერთო საკლასო | დაფა, ცარცი, ფერადი ფურცლები | 3 (წთ) |
| 3 | **აქტივობა** III<br>ტექსტის წაკითხვა მასწავლებლის მიერ და უცხო სიტყვების განმარტება ნაბიჯ-ნაბიჯ | | მასწავლებლის მიერ წაკითხვა | სახელმძღვანელო | 7(წთ) |
| | **აქტივობა** IV<br>მოსწავლეების მიერ ხელმეორედ ტექსტის წაკითხა | მოსწავლეების მიერ ტექსტის გამომეტყველებით წაკითხვა | საერთო საკლასო | სახელმძღვანელო | 5(წთ) |
| | **აქტივობა** V<br>შეკითხვებზე პასუხის გაცემა | | ინდივიდუალური | ფერადი ფურცლები | 3 (წთ) |
| | **აქტივობა** VI<br>ამბავის დასრულება | | ინდივიდუალური | ფერადი ფურცელი, პასტა | 5(წთ) |
| | **აქტივობა** VII<br>წინადადებების მოფიქრება სადაც იქნება სიტყვა „თქო“ | | ინდივიდუალური | ფერადი ფურცელი, პასტა | 5(წთ) |
| | **აქტივობა** VIII<br>მოსწავლეების მიერ ტექსტის | | საერთო საკლასო | ფერადი ფურცლები | 5 (წთ) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დალაგება | | | | |
| | **აქტივობა** IX<br>წიგნში მოცემულ ილუსტრაციაზე მსჯელობა | | საერთო საკლასო | წიგნი | 3(წთ) |
| | **აქტივობა** X<br>• ვიმსჯელოთ რა ახალი ცოდნა და უნარი შევიძინეთ<br>• ვიმსჯელოთ თუ როგორ გავიგეთ მოცემული ტექსტი<br>• თვითშეფასების კითხვარის შესება<br>• საშინაო დავალების მიცემა | მოსწავლის აქტუალობის შემოწმება, როგორ შეუძლიათ საკუთარი თავის შეფასება. | საერთო საკლასო<br><br>ინდივიდუალური | თაბახის ფურცლები, კალამი | 7 (წთ) |

## გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- ტექსტის შინაარსის გაგება / წვდომა
- გამომეტყველებითი კითხვის უნარის განვითარება
- შეკითხვებზე პასუხის გაცემის უნარი
- მართლწერის ჩვევაზე დაუფლება
- ლექსიკონზე მუშაობა
- შეფასება / თვითშეფასება

### გაკვეთილის გეგმა (სცენარი) 2008წ

**საგანი: ქართული ლიტერატურა**

**მასწავლებელი: მანანა მიქელაძე**

**თემა: აკაკი წერეთელი „ჩემი თავგადასავალი“**

| საწავლო მიზნები | აქტივობები (გაკვეთილის მსვლელობა) | მოსწავლეთა საქმიანობის ფორმები | დროის განაწილება | რესურსები | ცოდნის შეფასების კრიტერიუმები |
|---|---|---|---|---|---|
| **სტანდარტი**<br>მოსწავლე კითხულობს მხატვრულ ნაწარმოებს და ავლენს კითხვის პროცესით გამოწვეულ შთაბეჭდილებს გადმოცემის უნარს.<br><br>**თეორიული ცოდნა**<br>ტექსტის შინაარსი (..თავი)<br><br>**უნარ-ჩვევები**<br>თხრობის და კითხვის კულტურა.<br>აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდები გამონათქვამების დასახელება და მათი ინტერპრეტაცია.<br>ტექსტში გამოკვეთილი ცალკეული მოვლენის ან ფაქტების შესახებ მსჯელობა. | **I-სტრატეგია გამოწვევისათვის**<br>ეპიზოდების გახსენება კინოფილმიდან „აკაკის აკვანი"<br>**II-სტრატეგია შინაარსის რეალიზებისთვის**<br>-ტექსტის წაკითხვა ხმამაღალი კითხვით.<br>-წერითი დავალება „მოკრიბეთ ხალხური თამაშების დასახელება"<br>-კითხვა-პასუხი ტექსტის ირგვლივ<br>**III-სტრატეგა რეფლექსის სტადიისათვის**<br>-შეადგინეთ ასოციაციური რუკა ხალხური დახასიათებით(პრეენტაცია)<br>- დაასახელეთ და აღწერეთ მხატვრული თვალსაზრისით ეპიზოდები, გამონათქვამები.<br>- რა როლს ანიჭებს ავტორი ხალხურ თამაშებს ბავშვის ცხოვრებაში(მსჯელობა)<br>დავალება შინ შესასრულებლად:<br>ა) დაისწავლეთ ერთ-ერთი ეპიზოდი თხრობით(სურვილით)<br>ბ) მოიფიქრეთ ტექსტის შესახებ 5 შეკითხვა მეგობრისათვის<br>დ)შეადგინეთ ერთი ტექსტი | ინდივიდუვალური<br><br>ინდივიდუალური<br><br>ინდივიდუალური<br><br>ჯგუფური<br><br>წყვილებში<br><br>წყვილებში<br><br>ჯგუფური<br><br>ინდივიდყალური | 3 წთ<br><br>10 წთ<br>2წთ<br><br>5 წთ<br><br>10 წთ<br><br>10 წთ<br><br>5 წთ | სახელმძღვანელო,<br>წებოვანი ფურცლები,რვეულები,<br>ფერადი ფურცლები, | კითხვის კულტურა.<br><br>ტექსტში აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდებისა და გამონათქვამების მოძიების უნარი.<br><br>ტექსტში გამოკვეთილი ფაქტის მიმართ საკუთარი შეხედულების გამოხატვა. |

გაკვეთილის გეგმა (2018)

მასწავლებლის სახელი გვარი და პირადი ნომერი: ნონა ბოლქვაძე, 61011001930

საგანი: ბუნება

სწავლების საფეხური/კლასი: II

მოსწავლეთა რაოდენობა: 3

გაკვეთილის თემა: საქართველო ჩემო სამშობლო

გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული

გაკვეთილის მიზანი: გაკვეთილზე მიღებული ცოდნის საფუძველზე პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება(მისაღწევი შედეგები: ცოდნა და უნარები იხილეთგეგმაში)

| N | **აქტივობის აღწერა** | **გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები** | **კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები** | **სასწავლო რესურსი** | **დრო (წუთი)** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აქტივობა I**<br>**სიტყვები ბარათებზე**<br>**ინსტრუქცია** : გთხოვთ ბარათებზე დაწეროთ სამი სიტყვა (რაც პირველი გაგახსენდებათ) სამშობლოსთან დაკავშირებით და წარმოადგინეთ.<br>**მიზანი:** მოსწავლეთა მობილიზება გაკვეთილისთვის<br>**შედეგი:** მოსწავლეები განწყობილი არიან გაკვეთილისთვის | წარმოდგენა - ასოციაცია | ინდივიდუალური | ბარათები, კალამი | 3 წთ |
| 2 | **აქტივობა II** | | | სახელმძღვანე | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **სახელმძღვანელოზე მუშაობა**<br>**ინსტრუქცია:** მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს და იაზრებენ.<br>**მიზანი:** სახელმძღვანელოში არსებული ტექსტის გაცნობა<br>**შედეგი:** შეუძლიათ სახელმძღვანელოზე მუშაობა | სახელმძღვანელოში კითხვა | ინდივიდუალური | ლო (გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი) | 5 წთ |
| 3 | **აქტივობა** III<br>**პოსტერებზე მუშაობა**<br>**ინსტრუქცია:** ყურადღებით დაათვალიერეთ საქართველოსთან დაკავშირებული ფოტოები, რომლებიც წარმოდგენილია პოსტერის სახით. აირჩიეთ ერთ - ერთი და გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება. თითოეული თქვენი აზრისთვის მიიღებთ ბარათებს საჩუქრად.<br>**მიზანი :** მოსწავლეებში საქართველოსადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობის განვითარება.<br>**შედეგი :** მოსწავლეებს შეუძლიათ ამოიცნონ საქართველოს ბუნების კულტურის ამსახველი ფოტოები და გამოთქვან თავიანთი აზრი. | მსჯელობა | ინდივიდუალური, საერთო საკლასო | სლაიდები, კომპიუტერი, პროექტორი, ბარათები | 5 წთ |
| 4 | **აქტივობა** IV<br>**ელექტრონული რესურსების გამოყენება**<br>**ინსტრუქცია :** გთხოვთ ტელეფონის გამოყენებით გადაიღოთ ფოტოები „ფანჯრიდან დანახული საქართველო“ და წარუდგინოთ აუდიტორიას.<br>**მიზანი :** ისტი -ს გამოყენების უნარების განვითარება<br>**შედეგი:** მოსწავლეს შეუძლია ისტი - ს გამოყენება გაკეთილზე | ისტი - ს გამოყენება | ინდივიდუალური | ტელეფონი | 5 წთ |
| 5 | **აქტივობა** V<br>**„მწერალი, მხატვარი, მშენებელი“**<br>**ინსტრუქცია:** აირჩიეთ ერთ - ერთი როლი (მწერლის, მხატვრის და მშენებლის. მწერალი - | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ქმნის მოთხრობას თემაზე „საქართველო ჩემი სამშობლოა“, მხატვარი - ქმნის ნახატს და მშენებელი - აკეთებს აპლიკაციას იმავე თემაზე ). შეასრულეთ დავალება და წარმოადგინეთ პრეზენტაცია.<br>**მიზანი** : მოსწავლეები თავიანთ განცდებსა და შეხედულებებს სამშობლოსთან დაკავშირებით წარმოაჩენენ სხვადახვა როლით.<br>**შედეგი** : მოსწავლეს შეუძლია სამშობლოსადმი სიყვარულის გადმოცემა ნახატის, აპლიკაციის, წერილობითი სახით და მისი პრეზენტაცია . მოსწავლე აზროვნებს შემოქმედებითად. | როლით თამაში | ინდივიდუალური | თაბახის ფურცლები, ფანქრები / ფლომასტერები, კალამი, წებო, ბარათები აპლიკაციისათვის | 13 წთ |
| 6 | **აქტივობა** VI<br>**ვემსახურებით საქართველოს** : მოვუფრთხილდებით მის ბუნებას<br>**ინსტრუქცია** : კედელზე გაკრულია ფლიპჩარტი საქართველოს რუკის გამოსახულებით. გთხოვთ თქვენი ხელის ანაბეჭდით შემოსაზღვროთ საქართველოს რუკა და გამოთქვათ ვარაუდები, როგორ შეძლებთ სამშობლოსათვიის სასიკეთო საქმის კეთებას, როგორ მოუვლით მის ბუნებას.<br>**მიზანი** : მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ სამშობლოსადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, მისდამი მზრუნველობითი დამოკიდებულება.<br>**შედეგი** : მოსწავლეები გამსჭვალული არიან პატრიოტული სულისკვეთებით და გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას მისი ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. | წარმოდგენა ასოციაცია | ჯგუფური | ფლიპჩარტი, ფლომასტერები | 7 წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | **საკლასო მსჯელობა**<br>გაკვეთილს ვაჯამებ კითხვებით:<br>• რა შევისწავლეთ დღეს?<br>• რაში გამოიყენებთ შესწავლილ მასალას?<br>• რის გაკეთება შეგიძლია სამშობლოსთვის? და ა.შ.<br>თვითშეფასების კითხვარის შევსება .<br>საშინაო დავალების მიცემა : „მაინც რა არის სამშობლო ?“ | მსჯელობა | საერთო საკლასო | | 7 წთ. |

**გაკვეთილის ბოლოს  მისაღწევი შედეგი:**

**ცოდნა**

- იცნობს საქართველოს მრავალფეროვან ბუნებას
- იცის, რომ საქართველოს ბუნებას გაფრთხილება და ზრუნვა სჭირდება
- იცის როგორ გაუფრთხილდეს თავისი სამშობლოს სიმდიდრეს

**უნარები**

- შეულია სურათების მიხედით საკუთარი აზრის ჩამოყალიბება
- შეუძლია გაანალიზოს საკუთარი მოვალეობა სამშობლოს წინაშე
- შეუძლია ისტი - ს გამოყენებით დავალების შესრულება .
- შეუძლიათ აიღონ პასუხისმგებლობა ბუნების მოვლისა და დაცვისა
- შეუძლია თავისი ცოდნის სხვადასხვა ხერხით წარმოდგენა

- შეუძლია შემოქმედებითი აზროვნება.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ბუნ. II.9. მოსწავლეს შეუძლია გარემოსადმი საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა**

**შეფასება:** გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების სქემას (იხ.დანათი 1 )

**ხელმოწერა:** ნ. ბოლქვაძე

**დანართი**

**მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა**

**სახელი** .........................

**გვარი** ............................

| **კრიტერიუმები** | |
|---|---|
| რომელი აქტივობა მოგეწონა ყველაზე მეტად? | ......................................................................................... ......................................................................................... |

| | | | |
|---|---|---|---|
| გაკვეთილში აქტიურად იყავი ჩართული ? | სრულიად | ნაწილობრივ | ვსაჭიროებ გაუმჯობესებას |
| მარტივად გაიგე მოწოდებული მასალა ? | სრულიად | ნაწილობრივ | ვსაჭიროებ გაუმჯობესებას |
| შეგიძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ? | სრულიად | ნაწილობრივ | ვსაწიროებ გაუმჯობესებას |
| შეგიძლია შენი აზრის სწორად ჩამოყალიბება ? | სრულიად | ნაწილობრი | ვსაჭიროებ გაუმჯობესებას |

# გაკვეთილის გეგმა 2018

<table>
<tr><td colspan="2">მასწავლებელი: ირმა სანიკიძე</td></tr>
<tr><td>საგანი : ქართული ენა და ლიტერატურა</td><td>კლასი : 1 - ლი</td></tr>
<tr><td>თემა : „ფ“ ასო - ბგერა</td><td>დრო : 35 წუთი.</td></tr>
<tr><td>სწავლების საფეხური / კლასი: დაწყებითი საფეხური / I კლასი</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლეთა პროფილი / რაოდენობა : 2 მოსწავლე. სსსმ არა</td></tr>
<tr><td colspan="2">გაკვეთილის მიზანი :<br>• შესასწავლი ბგერის დაფიქსირება და მეტყველებიდან მათი გამოყოფა მიმართების დამყარება შესაბამის გრაფიკულ ხატთან;<br>• შესასწავლი ასოების გამოყოფა მთლიანი სიტყვისგან თავასოს დაფიქსირება ;<br>• მოსმენა და ადეკვატური რეაგირება ინფორმაციასა და ინსტრუქციაზე ;</td></tr>
</table>

- ლექსიკის გამდიდრებაზე ზრუნვა

**გაკვეთილის მიზნის ესგ - სთან შესაბამისობა :**

**ქართ.დაწყ.**I. 1,3

- შეუძლია შესწავლილი ბგერის სიტყვიდან გამოყოფა, თავასოს დაფიქსირება ;
- ამოიცნობს შესწავლილ ასოს ანბან - პლაკატზე .
- ახდენს აკუსტიკური ხატის ინდენთიფიკაციას ნახატთან და ნახატის - ნაბეჭდთან.

**წინარე ცოდნა :**

იცის ასოების გარკვეული რაოდენობა

კითხულობს შესწავლილი ასო - ბგერებისაგან შედგგენი სიტყვებს, სიტყვებისგან ადგენს წინადადებებს;

ამოიცნობს მარცვლებს, ასახელებს სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას.

**შეფასების საგანი და პროცედურები :** განმავითარებელი შეფასება რუბრიკის მიხედვით; მიმდინარე.

**სასწავლო მაალა და ტექნიკური რესურსები :**

- I **კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო** ( ლანა ჭილაძე, ნინო ხაჭვანი, ნანა სახეჩიძე) გვ. 66
- I **ქართული ენისა და ლიტერატურის რვეული** ( ნანა სახეჩიძე, ნინო ხაჭვანი ) გვ. 56

  დაფა, ცარცი, ფერადი ფანქრები, სახატავი ფურცლები, თვალსაჩინოება, მოძრავი ანბანი, კომპიუტერი, საჩვენებელი ჯოხი, კალამი, პროექტორი

| | **აქტივობის აღწერა** | **გამოყენებული მეთოდი / მეთოდები** | **კლასის ორგანიზების ფორმა / ფორმები** | **სასწავლო რესურსები** | **დრო (წთ)** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | A **ფაზა. მისალმება, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.** მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა სწრებადობას და ავსებს ჟურნალს. მოსწავლეებს აცნობს ახალი გაკვეთილის თემას და მიზანს. ასევე შეფასების რუბრიკებს. კედელზე აკრავს პლაკატს ახალ ასო - ბგერას „ფ“. ეკითხება მოსწავლეებს: რა გვქონდა დღეს | ველბარული ახსნა. | მთელი კლასი | გაკვეთილის მიზნები შეფასების რუბრიკები | 2 (წთ) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გაკვეთილი ? | | | | |
| 2 | **საშინაო დავალების გამოკითხვა - განმეორება.** მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს აკითხინებს გაკვეთილს ასო - ბგერა „ძ“-ს ამოწმებს დავალებას. თვალსაჩინოებისა („ჩვენი ჯადოსნური ხე“) და ხელჯოხის საშუალებით უჩვენებს მოსწავლეებს შესწავლილ ასო - ბგერებს და თხოვს დაასახელონ ასო - ბგერა და თან არსებულ ასო - ბგერაზე დაწყებული მხოლოდ ერთი სიტყვა. | ინტერაქციული | ინდივიდუალური | სახელმძღვანელო; თვალსაჩინოება; ხელჯოხი. | 8 (წთ) |
| 3 | **B ფაზა. გამოწვევა.** მასწავლებელი მოსწავლეებს პროექტორის საშუალებით უჩვენებს იმ საგნების ფოტოებს, რომელიც იწყება „ფ“ ასო - ბგერაზე და სთხოვს ამოიცნონ ფოტოები. შემდეგ ეკითხება, არსებული სიტყვები თუ რომელი ასო - ბგერით იწყება. სთხოვს თვითონაც გაიხსენონ „ფ“ ასო - ბგერაზე დაწყეული სიტყვები ან სიტყვები , რომლებიც შეიცავს „ფ “ ასო - ბგერას. | ინტერაქციული | ინდივიდუალური; | პროექტორი ; სლაიდები | 3 (წთ) |
| 4 | **ახალი მასალის ახსნა.** მასწავლებელი მოსწავლეებს დაფაზე გამოუწერს „ფ“ ასო ბგერას. შემდეგ თითოეული მოსწავლე გაყავს დაფასთან და აწერინებს „ფ“ ასო - ბგერას . (საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება ასო - ბგერის გამოწერაში). | ვერბალური ახსნა. წერა | მთელი კლასი | დაფა, ცარცი, პლაკატი | 4 (წთ) |
| 5 | **სახალისო აქტივობა შესვენებისთვის** | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | • მოსწავლეს აძლევს გასაფერადებელ პლაკატს „ფ“ ასო - ბგერას. | | ინდივიდუალურად | პლაკატი ფერადი ფანქრები | 2 (წთ) |
| 6 | **ტექსტზე მუშაობა.** მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს გადაშალონ წიგნები 66 გვერდზე. შემდეგ თავად კითხულობს ახალ ტექსტს. განმარტავს იმ სიტყვებს , რომელიც უცნობი იქნება მათთვის . | ვერბალური ; ინტერაქციული | მთელი კლასი | სახელმძღვანელო | 2(წთ) |
| 7 | **C ფაზა - ახსნილი მასალის განმტკიცება** მოსწავლეებს მონაცვლეობით წააკითხებს ტექსტს. | ვერბალური | ინდივიდუალური | სახელმძღვანელო | 7 (წთ) |
| | ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს, ტექსტში იპოვონ სიტყვები, რომლებშიც „ ფ“ ასოა გამოყენებული და ამოიწერონ რვეულში. | ვერბალური | ინდივიდუალური | მოსწავლის რვეული, კალამი | 4 (წთ) |
| | მოსწავლეებს აძლევს დავალების ინსტრუქციას : ტექსტი წაიკითხონ და სამუშაო რვეულში 56 გვ დამოუკიდებლად ამოწერონ „ ფ “ ასო | ვერბალური | მთელი კლასი | სახელმძღვანელო; სამუშაო რვული | 1 (წთ) |
| | შეფასება | ვერბალური | ინდივიდუალური | შეფასების რუბრიკა | 2(წთ) |

| **შეფასების კრიტერიუმები / დონე** | **მაღალი** | **საშუალო** | **დაბალი** | **კომენტარი** |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ასოებს ამთლიანებს სიტყვებად** | დამოუკიდებლად ამთლიანებს ასოებს სიტყვებად | უჭირს დამოუკიდებლად ასოების სიტყვებად გამთლიანება | ვერ ამთლიანებს ასოებს სიტყვებად | 1.<br><br>2. |
| **სიტყვებში გამოყოფს მარცვლებს, მარცვლებში ასოებს** | სიტყვებში დამოუკიდებლად გამოყოფს მარცვლებს, მარცვლებში ასოებს | უჭირს დამოუკიდებლად მარცვლების გამოყოფა სიტყვებში, მარცვლებში კი ასოებისა | ვერ გამოყოფს სიტყვებში მარცვლებს , მარცვლებში ასოებს | 1.<br><br>2. |
| **კითხულობს მარტივი წინადადებებისგან შედგენილ მცირე ზომის ტექსტს** | დამოუკიდებლად კითხულობს მარტივი წინადადებებისგან შედგენილ მცირე ზომის ტექსტს | უჭირს დამოუკიდელად მარტივი წინადადებებისგან შედგენილ მცირე ზომის ტექსტის წაკითხვა | ვერ კიტხულობს მარტივი წინადადებებისგან შედგენილ მცირე ზომის ტექტს | 1.<br><br>2. |
| **პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ და ნანახ ტექსტთან დაკავშირებით** | დამოუკიდებლად პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ და ნანახ ტექსტთან დაკავშირებით | უჭირს დამოუკიდებლად მოსმენილ და ნანახ ტექსტთან დაკავშირებით შეკითხვებზე პასუხის გაცემა | ვერ პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ და ნანახ ტექსტთან დაკავშირებით | 1.<br><br>2. |

გაკვეთილის დაგეგმვისათვის სასწავლო მიზნების განსაზღვრისა და შესაბამისი აქტივობების შერჩევისადმი  მიდგომები სხვადასხვაა, დამოკიდებულია მოსწავლეთა შესაძლებლობასა და მასწავლებლის პროფესიონალიზმზე.

გაკვეთილის დაგეგმვისათვის პოპულარული ფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ 2018 წლის 1-11 ბრძანება 229 რეკომენდირებული ფორმა ეს ფორმა ძირითადათ გარე შეფასებისთვის არის გათვალისწინებული, მაგრამ მოქმედი მასწვლებლისაგან მხარდჭერას იყენებენ წარმატებუ

## დასკვნები:

**გაკვეთილი :** მოსწავლეების საქმიანობის დაწყებას, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით შემოგთავაზებთ სამოდელო გაკვეთილის ოთხ ტიპს

**ა** ) ინტეგრირებული გაკვეთილები

**ბ**) პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი

**გ**) გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი

**დ**) ინოვაციური გაკვეთილი

რომელიც მასწავლებელთა მიერ აქტიურად გამოიყენება :

**გაკვეთილის გეგმა (სცენარი) 2008წ**

**საგანი: ქართული ლიტერატურა**

**მასწავლებელი: მანანა მიქელაძე**

**თემა: აკაკი წერეთელი „ჩემი თავგადასავალი“**

| საწავლო მიზნები | აქტივობები (გაკვეთილის მსვლელობა) | მოსწავლეთა საქმიანობის ფორმები | დროის განაწილება | რესურსები | ცოდნის შეფასების კრიტერიუმები |
|---|---|---|---|---|---|
| <u>**სტანდარტი**</u> მოსწავლე კითხულობს მხატვრულ ნაწარმოებს | **I-სტრატეგია გამოწვევისათვის** ეპიზოდების გახსენება კინოფილმიდან „აკაკის | ინდივიდუალური | 3 წთ | | კითხვის კულტურა. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| და ავლენს კითხვის პროცესით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს გადმოცემის უნარს.<br><br>**თეორიული ცოდნა**<br>ტექსტის შინაარსი (..თავი)<br><br>**უნარ-ჩვევები**<br>თხრობის და კითხვის კულტურა.<br>აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდები გამონათქვამების დასახელება და მათი ინტერპრეტაცია.<br>ტექსტში გამოკვეთილი ცალკეული მოვლენის ან ფაქტების შესახებ მსჯელობა. | აკვანი"<br>II-**სტრატეგია შინაარსის რეალიზებისთვის**<br>-ტექსტის წაკითხვა ხმამაღალი კითხვით.<br>-წერითი დავალება „მოკრიბეთ ხალხური თამაშების დასახელება"<br>-კითხვა-პასუხი ტექსტის ირგვლივ<br>III-**სტრატეგა რეფლექსის სტადიისათვის**<br>-შეადგინეთ ასოციაციური რუკა ხალხური დახასიათებით(პრეენტაცია)<br>- დაასახელეთ და აღწერეთ მხატვრული თვალსაზრისით ეპიზოდები, გამონათქვამები.<br>- რა როლს ანიჭებს ავტორი ხალხურ თამაშებს ბავშვის ცხოვრებაში(მსჯელობა)<br>დავალება შინ შესასრულებლად:<br>ა) დაისწავლეთ ერთ-ერთი ეპიზოდი თხრობით(სურვილით)<br>ბ) მოიფიქრეთ ტექსტის შესახებ 5 შეკითხვა მეგობრისათვის<br>დ)შეადგინეთ ერთი ტექსტი | ინდივიდუალური<br>ინდივიდუალური<br>ჯგუფური<br>წყვილებში<br>წყვილებში<br>ჯგუფური<br>ინდივიდუალური | 10 წთ<br>2წთ<br>5 წთ<br>10 წთ<br>10 წთ<br>5 წთ | სახელმძღვანელო, წებოვანი ფურცლები, რვეულები, ფერადი ფურცლები, | ტექსტში აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდებისა და გამონათქვამების მოძიების უნარი.<br><br>ტექსტში გამოკვეთილი ფაქტის მიმართ საკუთარი შეხედულების გამოხატვა. |

- მასწავლებლები მხარს უჭერენ გაკვეთილის ჩატარებისათვის მრავალფეროვანი ტიპის  გამოყენებას, მაგრამ საჭიროებენ ამ მიმართებით მეთოდურ დახმარებას.
- სხვადასხვა ტიპის გაკვეთილს მოსწავლეთა კმაყოფილება დადებითია, მათ მიაჩნიათ, რომ მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილის ჩატარება მათთვის საინტერესო სახალისო და მრავალფეროვანია.

- გაკვეთილის ორგანიზაციის სტრუქტურის დაგეგმვისას  ეფექტურია ჯგუფური, დიფერენცირებული და წყვილებში სამუშაო გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია სტრუქტურის შესაბამისად სასწავლო გარემოს მოწყობა და აქტივობების დაგეგმვა მოსწავლეთა შესაბამისობის  გათვალისწინებით.

- დიფერენცირებული მიდგომი დროს  ზუსტად უნდა განსაზღვროს რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში, შეაფასოს და დაეყრდნოს მოსწავლეთა შორის განსხვავებას, დააკვირდეს და დაარეგურილოს  ყველა ეტაპზე დიფერენციაციის განსახორციელებელი საქმიანობა: მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართვა გაკვეთილის დაგეგმვასა და მნიშვნელოვანი ელემენტების გაანალიზებში. ( მათი რჩევების სურვილების , საჭიროებების გათვალისწინებით).

დიფერენცია განსაზღვრავს თითოეულ დავალებასა და  სავარჯიშოს შესატყვისობის, მოსწავლეთა მოთხოვნილებებთან მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- სახელმძღვანელო მოსწვლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესში, ძირითადი სასწავლო რესურსია თუ რა ძირითადი კრიტერიუმებია აუცილებელი სახელმძღვანელოს არჩევისას,  საკამათო საკითხია არამხოლოდ პედაგოგიკაში , არამედ ფართო საზოგადოებაშიც რადგანაც როცა სახელმძღვანელოს ვირჩევთ უნდა გავითვალისწინოთ თითოეული დეტალი და მნიშვნელოვანი წინაპირობა, რათა უფრო ხარისხიანი სახელმძღვანელოებით მივაწოდოთ  ცოდნა მოსწავლეებს რომ კარგი შედეგიც მივიღოთ.

- სასწავლო აქტივობების დაგეგმვა არც თუ ისეთი  ადვილი დასაგეგმია რადგანაც აუცილებელია შენარჩუნდეს მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია , მნიშვნელოვანია რომ მასწავლებემა გაითვალისწინოს , თუ კონკრეტულად რისი გაკეთება მოეთხოვება მოსწავლეებს და რა როლი უნდა შეასრულოს მან

მთლიანად ამ პროცესში, ამასთან გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა და გამოცდილება. აქვე მოცემულია რომ სწავლებისა და სწავლის აქტივობები იყოფა ხუთ კატეგორიად , ასევე გასათვალისწნებელია ის რომ აქტივობიდან აქტივობაზე გდასვლა უმტკივნეულოდ უნდა წარიმართოს, აქვე არის მოცემული კვლევების შედეგები თუ მასწავლებლების უმეტესი ნაწილი რომელ აქტივობას ანიჭებს უპირატესობას...

**ეს აქტივობებია :** ასოციაციური რუკა, პრიორიტტეტების ტექნიკის შემუშავება.

სოციოდრამა, როლებში თამაში,ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფებში მუშაობა. პრობლემების დაყენება, გადაწყვეტა, წარმოდგენითი თამაშობები, ასოციაციური რუკა,ურთიერთსწავლება, კითხვებით საკითხის წვდომა, ინტერვიუ. დებატები.იმიცირებული წარმოდგენები. პროექტის შექმნა.წერილის შედგენა. თხზულების დაწერაა, თავისუფალი წერა.წინადადების ჩამოყალიბება შეფასება ტესტირებით,ღია და დახურული შეკითხვები, სიტუაციური ამოცანა.დაუსრულებელი ისტორია, ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე.დიაგრამა, საკლასო დისკუსია, დისკუსია, მოლოდინი, ფოკუსირებადი შეკითთხვები, დაფიქრდით, დაწყვილდით, აზრი ერთმანეთს გაუზიარე, კლასტური/აბლაბუდა.

ტერმინები წინასწარ,გრაფიკული ორგანიზატორები. ჰკითხეთ ავტორს ორმხრივ ჩანაწერთა დღიური, მოზაიკა 1 , მოზაიკა 2.ერთობლივი ძიება.ჯვარედინი დისკუსია. ათწუთიანი ესეე.„დამიტოვეთ სათქმელი“.წყაროებზე მუშაობა.

სამსაფეხურიანი ინტერვიუ წერა თავისუფალ თემაზე, განსაზღვრებანი, კომენტარი.დავალებები კითხვაში.

- ჩემს მიერ გამოკვლეული სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხი აქტუალური პრობლემა იყო ყოველთვის,როგორც პედაგოგიურ მეცნიერებებში, ასევე სასწავლო აქტივობაში . იცვლებოდა სასწავლო გეგმები, რაც შესაბამისად იწვევდა სასწავლო პროცესის დაგეგმვისადმი მოთხოვნების ცვლილებას. ამიტომაც გადავწყვიტე გამომეკვლია ეს საკითხი და გამეგო თუ რა პრობლემები იყო სასწავლო საკითხში, ჩავატარე ექსპერიმენტი დავესწარი რამოდენიმე გაკვეთილს და გავაანალიზე თუ რა იყო დადებითი რა უარყოფითი. შემდეგ კი

მე ჩავატარე ერთი გაკვეთილი რომლის გეგმაც არის მოცემული წარმოდგენილ თემაში. გაირკვა , რომ ძირითადათ გამოიყენება სამ ფაზიანი გაკვეთილის მოდელი, ბოლო პერიოდში გამოყენებას იწყებს საველე გაკვეთილები.

## ლიტერატურა:


1. გობრონიძე 2010 - ალექსანდრე გობრონიძე „პედაგოგიკა“.
2. მალაზონია 2002 - გია მალაზონია „პედაგოგიკის ძირითადი საკითხები“
3. ზენკოვსკი 1995 - ვ.ზენკოვსკი - „პედაგოგიკა“
4. ლობჟანიძე 2017 - ლობჟანიძე სოფიო გაკვეთილის დაგეგმვა...
5. გვარამაძე 2017 - გვარამაძე მარინა - გაკვეთილის დაგეგმვის თანამედროვე სტრუქტურა.
6. ლექსიკონი 2007 - ლექსიკონი განათლების მუშაკთათვის .
7. ეროვნული 2018 – 2024 - ეროვნული სასწავლო გეგმა.
8. მასწავლებლის 2014 - მასწავლლებლის პროფესიული სქემა.
9. მასწავლებლის 2017 - მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა.
10. მასწავლებლის 2018 - მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტები - 2018 .
11. სასარგებლო 2018 - სასარგებლო რესურსები მასწავებლებს
12. სასარგებლო 2016 - სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისთვის
13. ჟურნალი 2004 - ჟურნალი „წიგნიერი“
14. ჟურნალი 2017 - ჟურნალი „მასწავლებელი“
15. ჟურნალი 2017 ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“
16. სამოდელო 2018 - სამოდელო გაკვეთილები.
17. ინოვაციური 2018 - ინოვაციური გაკვეთილები.